

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ლუკა ჯორბენაძე

რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები XXI საუკუნეში

ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიასა და საერთაშორისო

პოლიტიკაში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

ნაშრომი იკვლევს რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობას XXI საუკუნეში. კვლევის მიზანია აჩვენოს ცვლილება ამ ურთიერთობაში და ის მიზეზები რამაც გამოიწვია ცვლილება. კვლევაში აქცენტი გაკეთებულია თანამშრომლობაზე სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში და ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობის სფეროში და ამ სფეროებში ურთიერთობის დინამიკაზე. ნაჩვენებია, რომ ბელარუსის პოლიტიკის ცვლილება, რაც მიმართულია მოსკოვზე დამოკიდებულების შემცირებისკენ, გამოწვეულია მინსკის მიერ მოსკოვის საფრთხედ აღქმით და მოსკოვის მიერ მინსკის რეჟიმის დახმარების შემცირებით.

თემის აქტუალობას განაპირობებს ბელარუსის, როგორც რუსული ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყნის როლი ევროპული ბაზრისთვის, ასევე უკრაინის კონფლიქტიდან გამომდინარე ბელარუსის საგარეო პოლიტიკური პოზიციების მნიშვნელობის მატება რეგიონის უსაფრთხოებისთვის.

ნაშრომში დასმულია შემდეგი საკვლევი კითხვა: რატომ შეიცვალა რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები XXI საუკუნეში? ხოლო ნაშრომის ჰიპოთეზაა, რომ რუსეთის მხრიდან მატერიალური დახმარების შემცირებამ და უკრაინის კონფლიქტით შექმნილმა საფრთხეებმა გამოიწვია ბელარუსის პოლიტიკის ცვლილება მეტი ავტონომიურობის მოსაპოვებლად.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კონტენტ ანალიზი და პროცესზე მიდევნების მეთოდი. ჰიპოთეზის ასახსნელად გამოყენებულია საფრთხის ბალანსის თეორია. კვლევის შედეგად მტკიცდება წარმოდგენილი ჰიპოთეზის მართებულობა.

Russia-Belarus relations in XXI century

Luka Jorbenadze

Abstract

This thesis examines Russia-Belarus relations in the 21st century. It attempts to demonstrate what has changed in relations between these two countries and to identify causes behind these changes. Research is mainly focused on cooperation in fields of military and security policy and energy policy. The thesis shows that change in foreign policy of Belarus aimed at reducing dependence on Russia is caused by growing perception of Moscow as a source of threat for Belarus and by reduced material support from Moscow to Minsk.

The topic is currently relevant firstly, because of Belarus's role as a transit country of Russian hydrocarbon resources to European markets. Secondly, both Belarus's importance as an actor of international relations and importance of Russia-Belarus relations is currently elevated due to on-going conflict in Ukraine.

The research question of this thesis is: Why did Russia-Belarus relations change in the 21st century? Research hypothesis is that reduced material support from Russia and threats originated from the conflict in Ukraine caused Belarus to change its foreign policy in search of more autonomy.

The dissertation uses qualitative research methods, namely content analysis and process-tracing. Balance of threat theory is used as a theoretical framework. The research proves the viability of the presented hypothesis

სარჩევი

შესავალი	1
ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
ოფიციალური დოკუმენტების განხილვა.....	16
თანამშრომლობა სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში.....	25
თანამშრომლობა გაზით და ნავთობით ვაჭრობის სფეროში.....	28
რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები საფრთხის ბალანსის თეორიის კრილში	42
დასკვნა	43
ბიბლიოგრაფია	45

შესავალი

ნაშრომი იკვლევს რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობებს XXI საუკუნეში. შესწავლილია ორი ქვეყნის ურთიერთობა სამხედრო და უსაფრთხოების და ენერგეტიკის სფეროებში. წარმოჩენილია ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობებში მოცემულ პერიოდში მოხდა და მოცემულია ამ ცვლილებების მიზეზები და განმაპირობებელი ფაქტორები.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, თუ როგორ შეიცვალა ბელარუსის საგარეო პოლიტიკა და თუ რამ განაპირობა ეს ცვლილებები, ასევე, თუ როგორ აისახა ეს ცვლილებები რუსეთთან ურთიერთობაზე.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რატომ შეიცვალა რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები XXI საუკუნეში?

ჰიპოთეზა: რუსეთის მხრიდან მატერიალური დახმარების შემცირებამ და უკრაინის კონფლიქტით შექმნილმა საფრთხეებმა გამოიწვია ბელარუსის პოლიტიკის ცვლილება მეტი ავტონომიურობის მოსაპოვებლად.

დამოუკიდებელი ცვლადებია რუსეთის მხრიდან ბელარუსის მმართველი რეჟიმისთვის დახმარების შემცირება და მინსკის მხრიდან რუსეთის საფრთხედ აღქმა.

დამოკიდებული ცვლადია ბელარუსის პოლიტიკის ცვლილება.

მატერიალურ დახმარებაში იგულისხმება ენერგორესურსებით ვაჭრობის სფეროში რუსეთის მიერ ფასების სუბსიდირება, ვალის გადახდაში ხელშეწყობა, ვალის ნაწილის პატიება და ა.შ.

რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობების კვლევა რამდენიმე თვალსაზრისითაა ღირებული. რუსეთი ევროპის არაერთი ქვეყნისთვის ენერგორესურსების ძირითადი მომწოდებელია, ხოლო ბელარუსი რუსული ენერჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის მდგომარეობა, როგორც გართულებები და უთანხმოებები ასევე თანხმობისა და თანამშრომლობის შემთხვევები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის

არამედ ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვისაც. სანამ არაერთი ევროპული სახელმწიფო რჩება რუსულ ენერჯიაზე დამოკიდებული და სანამ ბელარუსი ინარჩუნებს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის სტატუსს, მანამ რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობას პირდაპირი გავლენა ექნება რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობაზე და პოტენციურად, ევრაზიის კონტინენტის პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

გარდა ამისა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის გამო, დღესდღეობით ეს რეგიონი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, ხოლო რუსეთის როლი ამ კონფლიქტში კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ ქვეყნის ურთიერთობებს მის დასავლელ მეზობლებთან. ცხადია, რუსეთის ქმედებები უკრაინაში გავლენას ახდენს რუსეთის ყველა დასავლელ მეზობელზე და მათ დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ. რეგიონში არსებული მომატებული რისკი და არასტაბილურობა კიდევ უფრო ზრდის რუსეთის ურთიერთობების მნიშვნელობას მის დასავლელ მეზობლებთან. ამის მაგალითია ბელარუსის როლი მინსკის მოლაპარაკებებში რაც აჩვენებს, რომ უკრაინის კონფლიქტის ფონზე გაიზარდა ბელარუსის მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკაში.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, პირველ თავში წარმოდგენილია საკვლევი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. მეორე თავი განიხილავს რუსეთის და ბელარუსის ოფიციალურ დოკუმენტებს. აქ აქცენტი კეთდება მოცემული დოკუმენტების უკანასკნელ ვერსიებში შეტანილ ცვლილებებზე და ამ ცვლილებების მნიშვნელობასა და მიზეზებზე. მესამე თავში საუბარია რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობაზე სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში. კერძოდ, ამ ურთიერთობის დინამიკაზე და მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზებზე. მეოთხე თავში განხილულია რუსეთ-ბელარუსის თანამშრომლობა ნავთობით და გაზით ვაჭრობის სფეროში. გამოკვეთილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, ამ ცვლილებების მიზეზები, ასევე ქვეყნების ინტერესები და პოზიციები სხვადასხვა უთანხმოებისას. მეხუთე თავში მოცემული ქეისი განხილულია საფრთხის ბალანსის თეორიის მიხედვით და ნაჩვენებია თუ რამდენად შეესაბამება ეს შემთხვევა ხსენებულ თეორიას.

მეთოდოლოგია

ჩემი კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია როგორც მეორადი წყაროები ასევე პირველწყაროები, როგორცაა ოფიციალურ პირთა გამოსვლები და ოფიციალური დოკუმენტები. ოფიციალური დოკუმენტების განხილვისას ვიყენებ კონტენტ ანალიზს. კონტენტ ანალიზი არის კვლევის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს ტექსტიდან ან სხვა სახის ინფორმაციიდან ვალიდური დასკვნების გამოტანას მათი კონტექსტის გათვალისწინებით. (Krippendorff, 2004) კონტენტ ანალიზი შეიძლება იყოს როგორც თვისობრივი ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია პროცესზე მიდევნების მეთოდი. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება ცალკეული ქეისის შესწავლისას კაუზალური მექანიზმების დასადგენად. (Beach, 2017) პროცესზე მიდევნების გამოყენებით ხდება არსებული ქეისის ფარგლებში ცვლილების და დინამიკის კვლევა. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ პროცესის ის ნაწილი რასაც ვიკვლევთ ყოველ ნაბიჯზე ჯეროვნად იყოს აღწერილი. პროცესის კვლევისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოყოფა. (Collier, 2010) პროცესზე მიდევნების მეთოდის მიზანია, დროითი განვითარებს გათვალისწინებით, ამოიცნოს კაუზალური მექანიზმი, რამაც ქეისი საბოლოოდ არსებულ შედეგამდე მიიყვანა. ეს მეთოდი გამოყენებულია რუსეთის და ბელარუსის გაზის და ნავთობის სფეროში ურთიერთობების კვლევისას.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია საფრთხის ბალანსის თეორია, რომელიც სტივენ უოლტმა განავითარა სტატიაში „ალიანსების ფორმირება და ძალთა ბალანსი“ (Walt, 1985) და შემდეგ განავრცო წიგნში „ალიანსების წარმოშობა“ (Walt, 1990).

ხსენებული სტატია ეხება იმას, თუ როგორ ირჩევენ ქვეყნები მოკავშირეებს საერთაშორისო პოლიტიკაში. უოლტი განიხილავს ამ საკითხის ამხსნელ დომინანტურ მოსაზრებებს, როგორებიცაა დაბალანსება და მიტმასნება. უოლტის აზრით, ორივე მიდგომის მხარდამჭერი ავტორები ცდებიან, როდესაც აქცენტს აქტორის ძალაზე და არა

საფრთხის შემცველობაზე აკეთებენ. მას მიაჩნია, ქვეყნები აბალანსებენ ან მიეტმასნებიან არა ყველაზე ძლიერ ქვეყანას, არამედ იმ ქვეყანას, რომელიც მათთვის ყველაზე სახიფათოდ აღიქმება. (Walt, 1985)

უოლტი გამოყოფს ორ ძირითად მიზეზს, რის გამოც ქვეყნები დაბალანსებას ირჩევენ. პირველ რიგში, დაბალანსება უფრო ნაკლებად რისკიანი სტრატეგიაა, რადგან ის საშუალებას არ აძლევს ერთ ქვეყანას გაბატონდეს დანარჩენებზე, ხოლო მიტმასნების შემთხვევაში შედარებით სუსტი ქვეყანა რჩება მისი ძლიერი მოკავშირის კეთილგანწყობის იმედად.

გარდა ამისა, დაბალანსების შემთხვევაში ქვეყანა ინარჩუნებს მეტ გავლენას და ავტონომიურობას ვიდრე მიტმასნების შემთხვევაში, რადგან სუსტ მხარეს მეტად ჭირდება დახმარება ახალი მოკავშირისგან ვიდრე ძლიერს, ანუ დამბალანსებელი ქვეყანა მეტად ფასობს თავის ალიანსში ვიდრე ის, რომელიც მიტმასნებას არჩევს. (იქვე)

უოლტი ამბობს, რომ ამ მიზეზების გამო ქვეყნები დაბალანსებას უფრო ხშირად ირჩევენ ვიდრე მიტმასნებას.

რაც შეეხება მიტმასნებას, ქვეყანა შეიძლება საფრთხის წყაროს მიეტმასნოს ან მისგან თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, ან ომის შემდგომ გამარჯვებული მხარისგან დასაჩუქრების იმედად. უოლტს სტალინის მიერ 1939 წელს ნაცისტურ გერმანიასთან კავშირის დამყარება მიტმასნების ორივე შემთხვევის მაგალითად მოყავს. ავტორი ამბობს, რომ მიტმასნებას ძირითადად პატარა ქვეყნები ირჩევენ შემდეგ შემთხვევებში: თუ მათ აგრესორის თავდასხმის ობიექტად გახდომის რეალური საშიშროება აქვთ და სხვა ქვეყნები მათ დახმარებას სურვილის შემთხვევაშიაც ვერ მოასწრებენ და თუ ქვეყანას სხვა არჩევანი არ აქვს, ანუ არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც თავდასხმის შემთხვევაში მას დაეხმარება. გარდა ამისა, პატარა ქვეყნები დაბალანსების შემთხვევაში ალიანსს ბევრს ვერაფერს შემატებენ, ამიტომ მათგან უფრო ლოგიკურია უძლიერესს მიეტმასნონ გამარჯვებულის მხარეზე აღმოჩენის იმედად.

ამის შემდეგ უოლტი განიხილავს ოთხ ფაქტორს, რომელიც ერთ ქვეყანას მეორისთვის საფრთხის შემცველად აქცევს. ეს ფაქტორებია: ძალა, (რაც გულისხმობს მოსახლეობისა

და რესურსების სიდიდეს და ტექნოლოგიურ განვითარებას) გეოგრაფიული სიახლოვე, შეტევითი შესაძლებლობები და აგრესიული განზრახვები. უოლტის თქმით „განზრახვის აღქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოკავშირის არჩევაში“. (Walt, 1985:12) ამის მაგალითად მას მოყავს გერმანიის ექსპანსიონისტური პოლიტიკა და მისი გავლენა დანარჩენ დიდ სახელმწიფოებზე პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში.

საფრთხის როლის განხილვის შემდგომ უოლტი გადადის ფაქტორებზე, რომლებიც სხვადასხვა თეორიების მიხედვით იწვევენ ალიანსების ჩამოყალიბებას. ესენია იდეოლოგია, ერთი ქვეყნის მიერ მეორეს მატერიალური და სამხედრო დახმარება და ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში შეღწევა ლობირების თუ სხვა გზით გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოსახდენად.

უოლტი ასკვნის, რომ იდეოლოგიური თანხვედრა არ არის ალიანსის შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველი. მეტიც, ზოგიერთი, განსაკუთრებით ავტორიტარული იდეოლოგიის ქონის შემთხვევაში შეიძლება იდეოლოგია დაპირისპირების მიზეზიც გახდეს. ამის მაგალითად მას სოციალისტურ ბანაკში არსებული დაპირისპირებები მოყავს. (იქვე)

რაც შეეხება დახმარებას, ავტორი ამბობს, რომ დახმარება მნიშვნელოვანია არსებული ალიანსის გაძლიერებაში, მაგრამ არა ახალი ალიანსის წარმოქმნაში. (Walt, 1990) უოლტი თვლის, რომ დიდი ქვეყანა მატერიალური დახმარების მიწოდებით ვერ მოიპოვებს ერთგულ მოკავშირეს, არამედ ხშირად უბრალოდ სუსტ ქვეყანას აძლევს საშუალებას საკუთარი პრობლემები მოაგვაროს. უოლტი მიგვითითებს, რომ როგორც წესი დიდი ძალები დახმარების მიუხედავად ვერ ახერხებდნენ საკუთარ სუსტ მოკავშირეებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას და ისინი მაინც ეწინააღმდეგებოდნენ დახმარების მიმცემ ძალას მნიშვნელოვან საკითხებში.

ამასთან, უოლტი ამბობს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მოპოვების სურვილი ძლიერ ქვეყანასთან ახლო ურთიერთობის დამყარების ჩვეული მიზეზია, ის თუ რომელ ძლიერ პატრონს აირჩევს ქვეყანა სხვა ფაქტორებით განისაზღვრება“. ანუ უოლტი არ უარყოფს დახმარების მნიშვნელობას

ძლიერ ქვეყანასთან ალიანსის შექმნაში, მაგრამ, პოტენციურ მოკავშირეებს შორის არჩევანის გაკეთებისას, მისი აზრით სხვა ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია. (Walt, 1990)

შელწევის გავლენის შეფასებისას უოლტი წერს, რომ როგორც მატერიალურ დახმარებას, ასევე შელწევას ვერ ჩავთვლით ალიანსების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ფაქტორად თუ არ არსებობს საერთო ინტერესები, ხოლო თუ ისინი სახეზეა, მაშინ შელწევა დიდად საჭირო არცაა. ასევე შელწევა ნაკლებად ეფექტურია დახურულ და ავტორიტარულ სისტემებში ვიდრე დემოკრატიებში. (იქვე)

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამ თეორიის ძირითად კონტრიბუციას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წარმოადგენს ყურადღების გამახვილება საფრთხეზე და საფრთხის ბალანსზე. ამ სიახლით გამდიდრდა ალიანსებზე არსებული ცოდნის მარაგი, რაც აქამდე ძირითადად ძალთა ბალანსის თეორიას ემყარებოდა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ამ თავში მიმოხილულია ნაშრომის საკითხის თაობაზე და მის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და ავტორთა მოსაზრებები. მიმოხილვაში ხსენებული ნაშრომები ეხება რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტებს, აქტორებისთვის ამ ურთიერთობის მნიშვნელობას, აქტორების ინტერესებს და ზოგ შემთხვევაში სამომავლო პერსპექტივებსაც.

რასმუს ნილსონი თავის სადოქტორო ნაშრომში: „რევანშისტი რუსეთი? ბელარუსის და უკრაინის სუვერენიტეტის რუსული აღქმა“ განიხილავს რუსეთის დამოკიდებულებას ბელარუსის და უკრაინის სუვერენიტეტის მიმართ 1990 წლიდან 2008 წლამდე. ავტორი ამტკიცებს, რომ „რუსების აღქმები საგარეო პოლიტიკაზე განპირობებულია იმით, თუ როგორ აღიქვამენ ისინი თავად რუსეთს“. ნილსონი ბელარუსის და უკრაინის სუვერენიტეტზე სამსჯელოდ აანალიზებს რუსეთის თვითაღქმის სამ პარადიგმას: ძალის პარადიგმის მიხედვით, რუსეთი ამ ეტაპზე უნდა იყოს რევანშისტული, მან უნდა დაიბრუნოს დაკარგული გავლენა და სტატუსი. კანონის პარადიგმის მიხედვით, რუსეთმა უნდა გადააფასოს საკუთარი თავი იმ ერთობად, რაც არის დღევანდელი

ფედერაციის საზღვრებში და შესაბამისად უარი თქვას იმპერიულ მისწრაფებებზე და საბჭოურ წარსულზე, რაც დღეს მას მხოლოდ ტვირთად აწევს. ერის პარადიგმის მიხედვით რუსეთი გაგებულია, როგორც რუსი ხალხის ერთობა და ის უნდა იმართოს ამ ერთობის ინტერესების მიხედვით. ამ პარადიგმის მიხედვით, დღესდღეობით, რუსეთი უნდა იყოს რევანშისტული, რადგან რუსეთის ფედერაციის დღევანდელი საზღვრები არ ემთხვევა რუსი ხალხის, როგორც ერთობის განსახლების არეალს. (Nilsson, 2010)

ნილსონის აზრით, შესწავლილ პერიოდში დომინანტური იყო და არის ძალის პარადიგმა, ერის პარადიგმა დროთა განმავლობაში მეტად გავლენიანი ხდებოდა, ხოლო კანონის პარადიგმა ამავე პერიოდში თანდათან კარგავდა გავლენას. (იქვე)

საინტერესოა ტომას ამბროსიოს მოსაზრება რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობებზე. სტატიაში „რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობების პოლიტიკური წარმატება: მინსკის დაცვა ფერადი რევოლუციისგან“ ავტორი ამტკიცებს, რომ რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობაში ორივე მხარე მიზნად მინსკში არსებული რეჟიმის დემოკრატიზაციისგან დაცვას ისახავს მიზნად, რასაც ჯერ-ჯერობით ახერხებს. ამბროსიო ორი ქვეყნის ურთიერთობას და მათ სამოკავშირეო სახელმწიფოს (Союзное государство) მიიჩნევს „ანტიდემოკრატიულ ალიანსად,“ რომელიც ბელარუსს დასავლეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიზაციის ტალღისგან იცავს. ხოლო თავად სამოკავშირეო სახელმწიფო მინსკისთვის წარმოადგენს რუსეთის მიერ უზრუნველყოფილ ალტერნატივას ევროპული ინტეგრაციის. თანაც ეს ალტერნატივა არ გულისხმობს მინსკის რეჟიმისთვის მტკიცეული რეფორმების გატარების აუცილებლობას. (Ambrosio, 2006)

ავტორი, ცხადია, განიხილავს სუბსიდიების მნიშვნელობას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზოგ შემთხვევაში, სუბსიდიების (ამ შემთხვევაში გადაუხდელი დავალიანების) სანაცვლოდ კრემლს დაქვემდებარებული ბიზნესები ყიდულობენ ბელარუსის ინდუსტრიას, რაც კიდევ უფრო ზრდის მინსკის მოსკოვზე დამოკიდებულებას. (იქვე)

ამბროსიო განმარტავს, რომ რუსეთის გავლენა ბელარუსზე ერთგვარი გარანტიაა იმისა, რომ ბელარუსი არ გადადგავს რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების შეუსაბამო ნაბიჯებს, ხოლო დემოკრატიზაცია შეარყევდა ორივე რეჟიმისთვის სასურველ სტატუს-კვოს. (იქვე)

ჯეფრი მანკოვის აზრით, რუსეთისთვის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გავლენის შენარჩუნება რჩება პრიორიტეტულ საგარეო პოლიტიკურ მიზნად. ამგვარად რუსეთი შეეცდება უზრუნველყოს წვდომა ბალტიისა და შავ ზღვებზე, დაიცვას გაზისა და ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული სატრანზიტო უფლებები და დაიცვას რუსეთის ფედერაციის საზღვრებს გარეთ მცხოვრები რუსი მოსახლეობის უფლებები (ამ უკანასკნელს ავტორი ნაკლებად მნიშვნელოვნად აფასებს, ვიდრე პირველი ორ მიზანს.). როგორც მანკოვი ამტკიცებს, სწორედ ამ ფაქტორების გამო ცდილობს რუსეთი ლუკაშენკოს რეჟიმის შენარჩუნებას. (Mankoff, 2009)

მანკოვის შეფასებით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ლოგიკის მიხედვით, რუსეთი უკან არ დაიხევს უკრაინისა და ბელარუსის საკუთარ ორბიტაზე შესანარჩუნებლად და ნატოს შეიარაღების საკუთარ საზღვრებთან ახლოს განლაგების თავიდან ასაცილებლად. იმავე ლოგიკით, რუსეთი მომავალშიც შეეწინააღმდეგება ევროკავშირის მორალისტურ ჩარევას საკუთარ პოლიტიკურ განვითარებაში. (იქვე)

მანკოვის აზრით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანი მულტიპოლარული მსოფლიოს შექმნაა. აქედან გამომდინარე, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში დომინანტ აქტორად გადასაქცევად იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამისთვის საჭირო ქმედებები ცუდად აისახება რუსეთის, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯზე მსოფლიოს სხვა რეგიონებში. (იქვე)

რაც შეეხება რუსეთის დავას უკრაინასა (2006 წელს) და ბელარუსთან (2007 წელს) გაზის ფასთან დაკავშირებით, მანკოვის აზრით რუსეთის პოზიცია ამ დავებში არ უკავშირდება აგრესიულ ან რევანშისტულ მისწრაფებებს, არამედ იმის გააზრების შედეგია, რომ მეზობელი რეჟიმების ენერგეტიკული მოთხოვნილებების სუბსიდირება აღარ არის ეფექტური და არ იძლევა სასურველ შედეგს. (იქვე)

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობების ბოლოდროინდელ დინამიკასა და სამომავლო პერსპექტივებზე. პოლიკანოვი მკითხველს ახსენებს, რომ რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობაში გაუგებრობა და პერიოდული დამაბულობა სიახლე არაა და ძირითადად ეს გაუგებრობები მინსკისგანაა პროვოცირებული მოსკოვისგან ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ეს მოვლენები ძირითადად ბელარუსის ეკონომიკური სიტუაციითაა განპირობებული, რის გამოსასწორებლადაც ლუკაშენკო ხშირად „დიალოგის ტემპერატურას წევს და თავს მსხვერპლის როლში წარმოაჩენს“. თუმცა, პოლიკანოვი ამბობს, რომ ამჯერად მოსკოვი არ ჩქარობს დათმობებზე წასვლას. (Polikanov, 2017)

სასაზღვრო კონტროლის დაწესებას, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობების ბოლოდროინდელი გაუარესების ერთ-ერთი გამოვლინება იყო, პოლიკანოვი არალეგალური მიგრანტების შემოსვლის საფრთხეს, დაემის შიშს და უკრაინიდან არასასურველი პირების რუსეთში შეღწევის შიშს უკავშირებს. საქმე ისაა, რომ ბელარუსმა 2017 წელს ქვეყანაში შესვლა შენგენის ვიზის მქონე პირთათვის უვიზო გახადა. (იქვე)

პოლიკანოვის დასკვნით, საბოლოოდ სამოკავშირეო სახელმწიფოს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთს ევროპასთან ურთიერთობების გაუფუჭდა და ეკონომიკაც ცუდ მდგომარეობაშია მომავალში მოსკოვი ნაკლებად აიტანს ლუკაშენკოს მხრიდან ურჩობას და სავარაუდოდ მსგავს შემთხვევებს უპასუხებს ეკონომიკაზე სადამსჯელო ზომებით. (იქვე)

უეცარი განშორება მოსალოდნელად არ მიაჩნია, მაგრამ თანდათანობით ცვლილებებს ელის შრაიბმანიც. სტატიაში „ბელარუსის რუსეთთან კონფლიქტის შორსმომავალი შედეგები“ იგი ვარაუდობს, რომ ორივე ქვეყნის ელიტები შეეცდებიან განაგრძონ ინტეგრაცია სხვადასხვა სახელმწიფოთაშორისი პროექტების გამოყენებით, როგორებიცაა სამოკავშირეო სახელმწიფო, CSTO, დსთ და სხვები, მაგრამ სიტუაცია უკვე მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი. შრაიბმანის აზრით, რუსეთის ნებისმიერი მცდელობა, გამოიყენოს თავის ბერკეტები ბელარუსზე კონტროლის გასაზრდელად ლუკაშენკოს რეჟიმის წინამდდელობას წააწყდება, ხოლო თავის მხრივ მოსკოვიც აღარაა

დაინტერესებული მინსკს იმ მასშტაბის დახმარება გაუწიოს, რაც აქამდე ხდებოდა და რასაც ავტორი „გაზი კოცნების სანაცვლოდ“ ურთიერთობის მოდელს უწოდებს. (Shraibman, 2017)

ბელარუსის ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარების და რუსეთთან ამ ქვეყნის მიმართების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს ენდრიუ უილსონი სტატიაში „ბელარუსი: სოციალური კონტრაქტიდან უსაფრთხოების კონტრაქტამდე“ იგი ამტკიცებს, რომ თუ წლების წინ ლუკაშენკო მინიმალური ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხარჯზე ახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას, ახლანდელმა ეკონომიკურმა პრობლემებმა აიძულა ის ნაციონალისტური, როგორც ავტორი ამბობს „სტეიტისტური“ პოზიცია შეეტანა თავის დისკურსში, რითაც დროებით მოახერხა ოპოზიციის დაშოშმინება, მაგრამ ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული უკმაყოფილება ამ ნაბიჯით მაინც ვერ გადაიფარა. უილსონი ყურადღებას ამახვილებს მოსახლეობის შეხედულებებზე და ამბობს, რომ საზოგადოება ზოგადად უფრო რუსოფილურადაა განწყობილი ვიდრე თავად ლუკაშენკო და ასეთ პირობებში, როდესაც ქვეყანას არ აქვს ძლიერი ეროვნული იდენტობა, ნაციონალისტური გზავნილები არაა საკმარისი საზოგადოებისა და ელიტის „ავტომატურად“ (ავტ.) ლუკაშენკოს პოზიციაზე გადმოსაყვანად. (Wilson, 2016)

უილსონი გამოყოფს სამ მნიშვნელოვან ცვლილებას, რაც 2014 წლიდან მოხდა და გავლენა მოახდინა ლუკაშენკოსა და რუსეთის დღევანდელ, სახეცვლილ სიტუაციაზე. პირველ რიგში, რუსეთი ყველა თავის მეზობლის მიმართ უფრო აგრესიული და მომთხოვნია. იგი ცდილობს მეტი სარგებელი მიიღოს მეზობლებთან ურთიერთობით. მეორე, ლუკაშენკო სტეიტისტური პოზიციისკენ გადაიხარა და მესამე, ოპოზიციის ნაწილი მიემხრო მის ახალ პოზიციას, მაგრამ მოსახლეობის აზრი ისევ „ძლიერ რუსოფილურია“ (Wilson, 2016:87).

რუსეთის და ბელარუსის ურთიერთობას პოსტსაბჭოურ პერიოდში „ინსტიტუციურ სიმბიოზად“ მოიხსენიებს ენდრიუ სავჩენკო წიგნში „ბელარუსი- მუდმივი სასაზღვრო რეგიონი.“ იგი საკმაოდ დეტალურად განიხილავს ბელარუსის დამოკიდებულებას რუსეთზე და ხაზს უსვამს, რომ სსრკ-ს დაშლისას ბელარუსი სრულად იყო

დამოკიდებული ენერჯის იმპორტზე რუსეთიდან, რადგან საკუთარი ენერჯო რესურსები არ გააჩნდა. რუსეთზე იყო დამოკიდებული მისი ეკონომიკაც, რადგან ბელარუსის საექსპორტო საქონელი სსრკ-ს ეკონომიკის საჭიროებებზე იყო მორგებული და ვერ იქნებოდა კონკურენტული სხვა ბაზრებზე. (Savchenko, 2009)

ნაცვლად იმისა, რომ ასეთ სიტუაციაში ქვეყანაში მომხდარიყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, ლუკაშენკომ საკუთარი რეჟიმისთვის საფრთხედ აღიქვა ეკონომიკის იმგვარი რეფორმირება, როგორც ეს პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში მოხდა. აქედან გამომდინარე გადაწყდა არ მომხდარიყო ეკონომიკის რეფორმირება და შენარჩუნებულიყო კავშირები რუსეთთან, ხოლო რუსეთს უნდა უზრუნველყო მინსკი იაფი ენერჯეტიკული რესურსებით და, რაც ავტორის აზრით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეყიდა ბელარუსული ინდუსტრიული ნაწარმი. სავჩენკოს შეფასებით, რომ არა რუსეთის მხარდაჭერა ლუკაშენკოს რეჟიმისთვის, მინსკს სხვა არჩევანი არ ექნებოდა და რეფორმების გატარება მოუწევდა. (იქვე)

თავის მხრივ, რუსეთი ბელარუსისგან იღებდა სატელიტს, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის სსრკ-ს დაშლის შემდგომ, რადგან ეს იყო დასტური, რომ რუსეთი ისევ ფლობდა გავლენის სფეროებს საკუთარ საზღვრებს გარეთ. ამას გარდა, ბელორუსია, როგორც სატელიტი მნიშვნელოვანი იყო რუსეთის სამხედრო ელიტისთვის როგორც სიმბოლურად ასევე რუსეთის ნატოსგან თავდაცვისთვის. ასე ხსნის ენდრიუ სავჩენკო „სიმბიოზურ“ ურთიერთობას რუსეთის და ბელარუსის ელიტებს შორის. (იქვე)

სავჩენკო ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ანალიზის დროსაც ანალოგიურ დასკვნას აკეთებს. მაშინ, როცა მინსკი ადამიანის უფლებების უპატივცემულობის გამო დასავლეთისგან მწვავე კრიტიკის ობიექტი იყო და საერთაშორისო იზოლაციის საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, რუსეთის მთავრობა თავს იკავებდა მინსკის კრიტიკისგან. ამავდროულად, ამ მოქმედებამ სავჩენკოს შეფასებით, აჩვენა ბელარუსის ოპოზიციურ ძალებს, რომ მათ მოსკოვისგან არანაირი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ქონდეთ. (იქვე)

საჯინკოს აზრით, პუტინი მეტად მკაცრი და „საქმიანი“ დამოკიდებულება ჰქონდა ბელარუსთან ურთიერთობის მიმართ, მაგრამ ეს სიმკაცრე არ გასცდენია რიტორიკას და ორი ქვეყნის ურთიერთობა მისი პრეზიდენტობის პერიოდში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. (იქვე)

რაც შეეხება გაზისა და ნავთობის ფასზე არსებულ დავებს, საჯინკო არ მიიჩნევს, რომ ეს ფაქტები წინამდებეობაში მოდის ორი ქვეყნის ურთიერთობის ძირითად შინაარსთან-რუსეთი ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ გეოპოლიტიკურ უპირატესობას იხვეჭს. (იქვე)

საბოლოოდ, საჯინკოს აზრით, სავარაუდოა, რომ როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობა, ასევე მოსახლეობაში არსებული მახსოვრობა რუსეთის შესახებ, რაც უკვე ბელარუსში ინსტიტუციონალიზებულია, უზრუნველყოფს ბელარუსის პოზიციას როგორც რუსეთის “borderland“-ის. ავტორი არ გამორიცხავს, რომ დასავლურ ინსტიტუტებსა თუ ინფორმაციაზე წვდომამ (მაგალითად ინტერნეტი და კათოლიკური ეკლესია მოჰყავს) სამოქალაქო საზოგადოების არჩევანი რუსეთიდან ევროპის სასარგებლოდ შეცვალოს, მაგრამ მისი აზრით, ჯერჯერობით ამაზე საუბარი ნაადრევია. (Savchenko, 2009)

ჰელენა იაკოვლევა-გოლანიმ კვლევაში „რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორი დეკადა დსთ-ში: ბელარუსის და უკრაინის ქეისები“ შეისწავლა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ამ ორი ქვეყნის მიმართ 1991 წლიდან 2008 წლამდე. იგი ფოკუსირებული შედარებითი კვლევით და process-tracing approach გამოყენებით შეეცადა გამოეკვლია ამ პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში არსებული პატერნები. (Yakovlev-Golani, 2011)

გოლანი ასკვნის, რომ რუსეთმა დასავლელ მეზობლებს ჯერ ინტეგრაციის პროექტები შესთავაზა, რათა ისინი ბუფერულ სახელმწიფოებად ექცია, ხოლო როცა მიხვდა, რომ საჭირო დონეზე ინტეგრაცია მიუღწეველი იქნებოდა, შეეცადა გაეზარდა ამ ქვეყნების დამოკიდებულება რუსეთზე, რათა ისინი თავის ბანაკში შეენარჩუნებინა. რუსეთის ინტერესებში შედის, რომ უკრაინა და ბელარუსი მინიმუმ ნეიტრალურები უნდა იყვნენ რუსეთის მიმართ, ქმედება, რომელიც დაახლოვებდა რომელიმე მეზობელს დასავლურ ძალასთან ან აღქმული იქნებოდა რუსეთის ინტერესების შეუსაბამოდ, განხილული იყო,

როგორც ამ სტატუს კვოს დარღვევა და რუსეთისგან იწვევდა დაბალანსების მცდელობებს. ამ მცდელობების აგრესიულობა დამოკიდებული იყო რუსეთის ძალაზე. შედარებით სუსტი ელცინის რუსეთი უფრო დამთმობი, კომპრომისული იყო ბელარუსის მიმართ, ხოლო შედარებით ძლიერი პუტინის რუსეთი უფრო მტკიცე, პროაქტიული იყო. (იქვე)

ასტაპენია და ბალკუნეცი განიხილავენ რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობას უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდგომ. მათი აზრით რუსეთ ცდილობს გაზარდოს გავლენა ბელარუსზე ეკონომიკური საშუალებებით, ინტეგრაციის პროექტების და მედია პროპაგანდის მეშვეობით, მაგრამ ეს მცდელობები ჯერჯერობით უკუშედეგს იძლევა. რუსეთის ეკონომიკის სისუსტე იწვევს იმას, რომ ბელარუსის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე მცირდება, მაშინ როცა უკრაინის კონფლიქტისა და ასევე სხვა მიზეზების გამო მცირდება რუსული მედიის გავლენა ბელარუსის მოსახლეობაზე. (Astapenia, Balkunets, 2016)

ამასთან, ავტორების აზრით, ბელარუსს არ გადაუდგია რაიმე ქმედითი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი დასავლეთთან დასაახლოვებლად და ბელარუსის ეკონომიკა რჩება რუსეთზე დამოკიდებულად, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ როგორც ბელარუსის ასევე რუსეთის ეკონომიკას რეცესიიდან სწრაფად ამოსვლა გაუჭირდება, მინსკს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდისკენ უბიძგებს. (იქვე)

საბოლოოდ ასტაპენია და ბალკუნეცი ამტკიცებენ, რომ ბელარუსის დამოკიდებულება რუსეთზე შემცირდება, რასაც ისინი აჩვენებენ ახალ თაობაში რუსული გავლენების შემცირების მაგალითით და რუსეთის ეკონომიკის ცუდ მდგომარეობაზე მითითებით. ასევე ავტორები მიიჩნევენ, რომ ბელარუსში ჩამოყალიბდა ახალი, ძალაუფლებას მიჩვეული პოლიტიკური კლასი, რომელიც შეეცდება დაიცვას და გაამძიეროს საკუთარი სუვერენიტეტი. ამავდროულად, „დრამატული“ ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, რადგან, როგორც ავტორები აჩვენებენ, მინსკის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე უზრუნველყოფს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ახლო ურთიერთობა შორეულ პერსპექტივაშიაც კი მინსკის ინტერესში იქნება; ასევე, ახლო ურთიერთობა მოსკოვთან აუცილებელია ლუკაშენკოს რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის,

რადგან მოსკოვი შეიძლება ერთადერთი მნიშვნელოვანი აქტორი იყოს რეგიონში, ვინც ბელარუსის არჩევნების ლეგიტიმურობას აღიარებს. გარდა ამისა, ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ბელარუსი ევროპისთვის სწორედ მისი რუსეთთან ურთიერთობის გამოა მნიშვნელოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობის შენარჩუნება ლუკაშენკოს დასავლეთთან ურთიერთობისთვისაც ჭირდება. (იქვე)

უკრაინის კონფლიქტში ბელარუსის პოზიციას განიხილავს დევიდ მარპლსი სტატიაში „ბელარუსი და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი“. მარპლსი წერს, რომ ბელარუსი სრულად დამოკიდებულია რუსეთზე „როგორც ეკონომიკურად ასევე გეო-სტრატეგიულად“ და მას, უკრაინისგან განსხვავებით, არ აქვს ხვა არჩევანი, რადგან დასავლეთთან დაახლოება მას არ შეუძლია. შესაბამისად, რუსეთის პარტნიორობა ბელარუსისთვის უალტერნატივოა. (Marples, 2014)

ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პუტინის აზრით ბელარუსი, რუსი და უკრაინელი ხალხი ერთი, კიევის რუსეთისგან წარმოშობილი ოჯახია საერთო ისტორიით, საერთო, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიით და საერთო ენით. მარპლსის აზრით, მსგავსი შეხედულება ხშირად იკითხება ლუკაშენკოს გამოსვლებშიაც, ის რუს ხალხს უცხოდ არ მიიჩნევს და ამ გამოსვლებში, როგორც წესი, გაერთიანების სურვილი იკითხება (იქვე)

მარპლსი გვახსენებს, რომ მისი სტატიის დაწერამდე მცირე ხნით ადრე ბელარუსიულმა მედიამ ღიად დაიწყო უკრაინის ახალი მთავრობის კრიტიკა, ხოლო თავად ლუკაშენკომ ყირიმთან დაკავშირებით საუბრისას უკრაინის მთავრობის მიერ ენის კანონის გაუქმების თავდაპირველი გადაწყვეტილება გააკრიტიკა. ეს კანონი რუსულენოვან მოსახლეობას საქმიანობისას რუსული ენის გამოყენების საშუალებას აძლევდა. მარპლსი ლუკაშენკოს ციტირებს იმის თაობაზე, რომ თუ საჭირო გახდა ბელარუსი „დადგება რუსეთის გვერდით“. (იქვე)

ავტორისთვის ლუკაშენკოს პოზიცია უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით ცხადია. საკითხავი მისთვის ისაა, შეძლებს თუ არა ბელარუსი რუსეთის დარწმუნებას ლოიალურობაში იმ შემთხვევაში თუ „ახალი რუსული იმპერიალიზმი“ კიდევ უფრო გააქტიურდება და საზღვრებს კიდევ შეცვლის. (იქვე)

რაც შეეხება ენერგეტიკის საკითხს და მის გავლენას ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, ბრიუსი თავის ნაშრომში „ძმური დაპირისპირება თუ ძმური ფიქცია? გაზის ფაქტორი რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობებში“ იკვლევს თუ როგორ იყენებდა რუსეთი გაზს საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად 1993 წლიდან 2004 წლამდე და რა გავლენას ახდენდა ურთიერთობაზე რუსეთის როგორც ექსპორტიორის და ბელარუსის როგორც იმპორტიორის და სატრანზიტო ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულება. იგი აჩვენებს, რომ რუსეთი ძირითადად პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მიღწევას ცდილობდა, ხოლო ლუკაშენკოსთვის რუსეთთან ურთიერთობებს ფასდაკლებების გარდა დასავლეთისგან გარიყულობის პერიოდში მოკავშირის ყოლის საჭიროებაც განაპირობებდა. ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ პუტინის პრეზიდენტობამდე ლუკაშენკოს რუსეთ-ბელარუსის გაერთიანებულ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის მიღების იმედი ჰქონდა. (Bruce, 2005)

იაფიმავეამ გამოიკვლია 2010 წლის რუსეთ-ბელარუსის გაზის ტრანზიტთან დაკავშირებული უთანხმოება. მისი აზრით, ამ უთანხმოების საფუძველი უნდა ვეძებოთ 2007 წლის შეთანხმებაში, რომელიც ღიად ტოვებდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს. ბელარუსის მხრიდან დავაში შესვლას ავტორი უკავშირებს ნავთობის ექსპორტიდან არსებული შემოსავლის მკვეთრ კლებას და ზოგადად ეკონომიკის ძალიან ცუდი მდგომარეობის გამოსწორების სურვილს. მისი შეფასებით, მინსკი ხვდებოდა, რომ ბელტრანსგაზის ნაწილის გაყიდვით და ახლო მომავალში ნორდსტრიმის ამოქმედებით მოლაპარაკებებში მათი პოზიცია გაუარესდებოდა, შესაბამისად ისინი შეეცადნენ სწორედ 2010 წელს მიეღწიათ მოსკოვისგან გარკვეულ შეღავათებს. იაფიმავეა ასევე თვლის, რომ იმ პერიოდის პოლიტიკური უთანხმოებების გამო რუსეთი აღარ აძლევდა ბელარუსს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის საშუალებას. (Yafimava, 2010)

ბალმასედა წიგნში „არისტოკრატიული ცხოვრება მინსკში, რუსული ენერჯის რენტები, საშინაო პოპულიზმი და მოახლოებული კრიზისი“ სვამს შეკითხვას თუ რა როლი აქვს ენერგეტიკის პოლიტიკას ლუკაშენკოსთვის ძალაუფლების შენარჩუნებაში. ბალმასედა ამტკიცებს, რომ ლუკაშენკო ცდილობს რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება მიიღოს რუსეთისგან და ამავდროულად დაიცვას საკუთარი

ძალაუფლება რუსული გავლენისგან. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ლუკაშენკოს ურთიერთობაზე რუსეთთან, ბელარუსის ელექტორატთან და ადგილობრივ ელიტასთან და იკვლევს, თუ როგორ ახერხებს ლუკაშენკო მიიღოს დახმარება რუსეთისგან და შემდეგ საკუთარი ინტერესების მიხედვით გაუნაწილოს ის ელიტას და მოსახლეობას იმგვარად, რომ მის ძალაუფლებას საფრხთეები არ შეექმნას. (Balmaceda, 2014)

რუთ დეიერმონდი სტატიაში „კავშირის მდგომარეობა: რუსეთ ბელარუსის კავშირის სამხედრო წარმატება და ეკონომიკური და პოლიტიკური კრაზი“ განიხილავს თუ რატომ მიაღწია ინტეგრაციის პროექტმა წარმატებას სამხედრო სფეროში და რატომაც ის წარუმატებელი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. ავტორის აზრით, რუსეთი არ არის დაინტერესებული ეკონომიკური ინტეგრაციით, რადგან ბელარუსის ეკონომიკის ცუდი მდგომარეობის გამო რუსეთს ძალიან დიდი ხარჯის გაღება მოუწევს; ხოლო პოლიტიკური ინტეგრაცია მიუღწეველია იმ სახით რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, რადგან რუსეთს არ სურს თანაბარი უფლებებით გაერთიანდეს ბელარუსთან, ხოლო ბელარუსს ცხადია არ სურს სრულიად დაკარგოს სუვერენიტეტი და გახდეს რუსეთის ნაწილი. ამის საპირისპიროდ რუსეთს არც ისე ძვირი უჯდება სამხედრო სფეროში თანამშრომლობა და ამ გზით ახერხებს დსთ-ს ტერიტორიაზე სამხედრო გავლენის შენარჩუნებას. (Deyermond, 2004)

ოფიციალური დოკუმენტების განხილვა

ოფიციალური დოკუმენტების განხილვა ამ ნაშრომში მიზნად ისახავს იმ ცვლილებების წარმოჩენას, რაც აისახა დოკუმენტების უკანასკნელ ვერსიებში წინა ვერსიებთან შედარებით. ის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ როგორ შეიცვალა რუსეთის და ბელარუსის მმართველი რეჟიმების მიერ საკუთარი და საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის აღქმა წლების განმავლობაში. ასევე ამ დოკუმენტებში არსებული ცვლილებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ რა იყო ამა თუ იმ ცვლილების მიზეზი.

ბელარუსის სამხედრო დოქტრინა

ბელარუსის სამხედრო დოქტრინის უახლესი ვარიანტი 2016 წლის ივლისში იყო მიღებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წინა ვერსია 2002 წლის იანვარში დამტკიცდა, ბუნებრივია, რომ ეს ორი ვერსია ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება.

2016 წლის ვერსია წინამორბედზე გაცილებით დიდი და დეტალურია. პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც ხსენებულ ვერსიებს შორის გვხვდება ისაა, რომ ახალ ვერსიაში დამატებულია ქვეთავი, რომელშიც სხვადასხვა ტერმინია განმარტებული. ასეთი ტერმინებია მაგალითად სამხედრო საფრთხე, ომი, სტრატეგიული შეკავება და სხვა.

იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ქვეთავი ხშირად გვხვდება სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ დოკუმენტებში, ეს ცვლილება უფრო დოქტრინის გამართულობისკენ გადადგმული ნაბიჯია, ვიდრე შეცვლილი ვითარების დოქტრინაში ასახვა, თუმცა ეს დამატება თავისთავად არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ აღნიშვნას იმსახურებს. მაგალითად, თუ ამ თავს შევადარებთ რუსეთის ანალოგიური დოკუმენტის ტერმინების განსაზღვრების ნაწილს, დავინახავთ, რომ ამ ორ დოკუმენტში მოცემული ბევრი ტერმინი ერთმანეთს ემთხვევა. ბუნებრივია, რუსეთის არსებული სამხედრო დოქტრინის სახემ გავლენა იქონია ბელარუსის სამხედრო დოქტრინის შემქმნელების გადაწყვეტილებებზე.

არაერთი განსხვავებაა სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ამსახველ ქვეთავში. მაგალითად, ახალ რედაქციაში ნათქვამია, რომ გამძაფრდა დაპირისპირება ძალის პოლუსებსა და ბლოკებს შორის და გეოპოლიტიკური ცენტრების გაფართოების სურვილმა სხვების ინტერესების გაუთვალისწინებლად დამაბა მდგომარეობა. აქ ერთი მხრივ დასავლური გაერთიანებების გაფართოების კრიტიკა ჩანს, ხოლო მეორე მხრივ მულტიპოლარულ სისტემაში სიტუაციის დამაბვით უკმაყოფილება.

ამავე თავში, კერძოდ მერვე პუნქტში კიდევ ერთი სიახლეა. აქ საუბარია სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მიერ სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში უხემ ჩარევაზე და მათი ლეგიტიმური ხელისუფლების შეცვლაზე, ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაზე. ასევე ევროპულ სახელმწიფოში შიდა დაპირისპირების პროვოცირებაზე,

„სამხედრო საშუალებების მასშტაბური და კომპლექსური გამოყენებით.“ ავტორების აზრით ეს კონფლიქტები დიდ ზიანს აყენებს რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებას.

ეს დამატება, მით უმეტეს კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს ევროპულობაზე ხაზგასმა, ცხადია, უკრაინაში რუსეთის მიმდინარე აგრესიის კრიტიკაა. აქ დოკუმენტის ავტორები არ მალავენ, რომ მოსკოვის მოქმედებები უკრაინაში ბელარუსის და მისი სამეზობლოსთვის საფრთხის შემცველია როგორც უშუალოდ რეჟიმისთვის, შიდა პროცესებში ჩარევის და ლეგიტიმური ხელისუფლების შეცვლის მცდელობიდან გამომდინარე ასევე ზოგადად ქვეყნისთვის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობიდან გამომდინარე.

დოკუმენტის მეექვსე თავში („ძირითადი სამხედრო საფრთხეები“) ბუნებრივია ცვლილებები საკმაოდაა და ისინი ძირითადად უკრაინის კონფლიქტს უკავშირდება.

საფრთხეების ჩამონათვალში ასევე დამატებულია სპეც დანიშნულების ძალების, არაკანონიერი სამხედრო დაჯგუფებების და კერძო სამხედრო ფორმების შესაძლებლობების გამოყენებით ბელარუსის მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტების წარმოშობა, (11.6) და სახელმწიფო და არასახელმწიფო ძალების მიერ ბელარუსში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირებების მომზადება. (11.10)

შიდა საფრთხეებში კი დამატებულია ტერორისტული და სხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და მომზადება დესტაბილიზაციისთვის და მათ შორის შიდა კონფლიქტის გასაღვივებლად.

გარდა იმისა, რომ ეს დამატებები ბელარუსის სამეზობლოში მომხდარი ობიექტურად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის სამხედრო დოქტრინაში ასახვის ბუნებრივი მცდელობაა (უფრო გასაკვირი იქნებოდა უკრაინის კონფლიქტი და მისი გავლენით ბელარუსის მიერ საფრთხეების აღქმის ცვლილება სამხედრო დოქტრინაში ასახული რომ არ იყოს), მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ დამატებების და ახალი დოქტრინის მიხედვით რუსეთი ბელარუსისთვის საფრთხეების ერთერთი წყაროა.

თუმცა, ორი ქვეყნის განსაკუთრებული კულტურული თუ პოლიტიკური კავშირებიდან გამომდინარე ცხადია, რუსეთი ამ შემთხვევათაგან არცერთის განხილვისას ნახსენები არ არის, როგორც საფრთხის თუნდაც პოტენციური წყარო.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლე საფრთხეების ჩამონათვალში გახლავთ იმ სამხედრო-პოლიტიკური კავშირების პოტენციალის შემცირება, რომელთა მონაწილეც ბელარუსია.(11.5) ეს დამატება სავარაუდოდ ბელარუსის უკმაყოფილებას ასახავს სამოკავშირეო სახელმწიფოს და CSTO-ს არასაკმარისი განვითარებით, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ დოკუმენტის შემდგენელთა აზრით დღევანდელ მსოფლიოში უფრო მეტი საფრთხე და დამაბულობაა.

ამ ეტაპზე ვფიქრობ საჭიროა კიდევ ერთხელ დავაფიქსირო, რომ ჩემი კვლევისთვის, მოცემული დოკუმენტების ზოგად შინაარსთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველ და ახალ რედაქციებს შორის ცვლილების ასახვა. როგორც ზემოთ ნახსენები ცვლილებებიდან ჩანს, ისინი ძირითადად რუსეთის ქმედებებს და უკრაინის კონფლიქტს ეხება, თუმცა, ამ ფაქტმა მკითხველი შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს, თითქოს საფრთხეები და სამხედრო დოქტრინის შინაარსი მთლიანად ან ძირითადად რუსეთს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ დოქტრინაში საფრთხეების წყაროდ არაერთხელაა ნახსენები ხელისუფლების ცვლილება და იმ სამხედრო ბლოკების გაფართოება და გლობალური მიზნების დასახვა, რომელთა წევრიც ბელარუსი არაა. დოქტრინის ეს ნაწილები ჩემს ნაშრომში ცალ-ცალკე არ მომიყვანია და განმიხილავს, რადგან ანალოგიური საფრთხეები ძველ დოქტრინაშიც გვხვდება.

მნიშვნელოვანი სიახლე გვხვდება მეხუთე თავში (სამხედრო პოლიტიკის საფუძვლები). ამ თავის მეცხრამეტე პუნქტში ნათქვამია, რომ ევროკავშირთან კეთილმეზობლური, ხოლო ნატოსთან პარტნიორული ურთიერთობის ქონით, ბელარუსი ცდილობს გაზარდოს ღიაობა და ურთიერთგაგება, რაც რეგიონის უსაფრთხოებაზე დადებითად აისახება. ნატოს გამოჩენა ბელარუსის სამხედრო დოქტრინაში პარტნიორის რანგში იმაზე მიუთითებს, რომ ბელარუსი მზადაა უფრო ახლო ურთიერთობისთვის დასავლეთთან ვიდრე ეს საუკუნის დასაწყისში იყო.

საყურადღებოა, რომ ძველ დოქტრინაში ნატო სიტყვიერად საერთოდ არაა ნახსენები, ხოლო დოქტრინის ის ნაწილები, სადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ნატოა ნაგულისხმები, უფრო უარყოფითი შინაარსისაა ვიდრე დადებითი. მაგალითად არსებული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის აღმწერ თავში ნახსენებია, რომ „ზოგი ქვეყნის და სამხედრო ბლოკის სამხედრო-ძალისმიერი მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპებს და ნორმებს“ (1.5) სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას ახდენს. თუ გავითვალისწინებთ დოკუმენტის შედგენის დროს, აქ საუბარი უნდა იყოს კოსოვოს ომზე, სადაც ნატოს როლია გაკრიტიკებული. ასევე, ძველ დოქტრინაში ძირითადი სამხედრო საფრთხეებიდან ერთერთია: „სამხედრო ბლოკების და კავშირების გაფართოება, რაც ვნებს ბელარუსის სამხედრო უსაფრთხოებას“ (1.7) ლოგიკური იქნება თუ ამ პუნქტის ადრესატადაც ნატოს ჩავთვლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პუნქტის ანალოგიური პუნქტი ახალ დოქტრინაშიც გვხვდება. ახალ დოქტრინაში ძირითადი საფრთხეებიდან ერთერთია „ევროპაში იმ სამხედრო-პოლიტიკური კავშირების გაფართოება, რომლებშიც ბელარუსი არ შედის და მათი მხრიდან გლობალური ფუნქციების საკუთარ თავზე აღება“ (11.3)

სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო ზომების ნაწილში დამატებულია თავდაცვის დაგეგმვა ისეთი შემთხვევების გათვალისწინებით, როდესაც სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სუბიექტი საშინაო კონფლიქტის პროვოცირების და ამ კონფლიქტის ხელშეწყობის გზით შეეცდება ბელარუსის კონსტიტუციური წესრიგის ძალისმიერ შეცვლას ან მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. (22.2) აქაც უკრაინის და შესაძლოა ამ შემთხვევაში სირიის კონფლიქტის გამოცდილებაა გათვალისწინებული.

თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ბუნებრივია არაერთ განსხვავებაა დოქტრინის იმ ნაწილში, რომელიც თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების მახასიათებლებს ეხება. ზოგადად, 2000 წლის ვარიანტში ეს ნაწილი ბევრად მცირე და შეიძლება ითქვას ზედაპირულია. მასში კონფლიქტები დაყოფილია სამართლიან ანუ გაეროს პრინციპების და საერთაშორისო სამართლის შესაბამის თავდაცვით ომსა და არასამართლიან ანუ აგრესიულ ომებად. ეს განსხვავება ახალ ვერსიაში აღარ გვხვდება.

რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტების მახასიათებლებს შორის განსხვავებებს, დოქტრინის მიხედვით, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელია გამოუცხადებელი ომები (28.1) და საინფორმაციო დაპირისპირება თანამედროვე კონფლიქტის განუყოფელი ნაწილი გახდა (28.4)

ამავე თავში ნათქვამია, რომ ბელარუსი შეიძლება საერთაშორისო კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდეს სხვა სახელმწიფოს მიერ მის შიდა საქმეებში ჩარევის და ბელარუსის წინამდებარე არსებული ტერიტორიული პრეტენზიის სამხედრო გზით დაკმაყოფილების მცდელობიდან გამომდინარე. იქვე ვკითხულობთ, რომ საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს სასაზღვრო ზონაში სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ფორმირებების პროვოკაციულმა ქმედებებმა. (32)

ზემოთხსენებული პუნქტი საგულისხმო დამატებაა, რადგან ერთდროულად შეიცავს იმ ორ ძირითად საფრთხეს, რასაც ისევ და ისევ ვხვდებით ახალი დოქტრინის ძველისგან განსხვავებებზე საუბრისას. ესენია შიდა საქმეებში ჩარევა (მინსკის რეჟიმის მსგავსი რეჟიმებისთვის დამახასიათებელი შიში, რაც წინა დოქტრინაშიც ფიგურირებს) და შეიარაღებული პროვოკაციის გზით ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა (უკრაინის კონფლიქტის მსგავსი სცენარი).

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ბელარუსის სამხედრო დოქტრინაში ცვლილებების დიდი ნაწილი, მეტწილად უკრაინის კონფლიქტის გავლენით მოხდა. მნიშვნელოვანია, რომ ახალი დოქტრინა საუბრობს ისეთ საფრთხეებზეც, რომლის წყაროდაც რუსეთი უნდა მოვიაზროთ, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა ვარიანტის შექმნისას რუსეთი საფრთხედ არ აღიქმებოდა, ახლა კი ეს გარემოება შეცვლილია. შედარებისთვის, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, რომელიც უკანასკნელად 2010 წელს განახლდა, ვერ ვნახავთ ვერცერთ საფრთხეს, რომლის წყაროდაც ლოგიკურად რუსეთი უნდა მივიჩნიოთ თუ არ ჩავთვლით მეთავე პუნქტში, ეკონომიკურ სფეროში ეროვნული ინტერესების ჩამონათვალში ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის სურვილს. და 38-ე პუნქტში ეკონომიკური საფრთხეების ჩამონათვალში ენერგორესურსების ტრანზიტის ალტერნატიული კორიდორების შექმნას და ბელარუსის სატრანზიტო ფუნქციის გამიზნულ შესუსტებას (წყარო) საგულისხმოა, რომ ორივე ამ შემთხვევაში საუბარი

ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე და არა სამხედრო საფრთხეებზე, რაც იმ პერიოდში რუსეთთან ენერგეტიკის სფეროში მომრავლებული უთანხმოებებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

რა თქმა უნდა შემთხვევითი არ არის ნატოსთან პარტნიორული და ევროკავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილის დაფიქსირება და ამ მოვლენის რეგიონისთვის პოტენციური დადებითად შეფასება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბელარუსს, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, სურს დაუახლოვდეს სხვა მნიშვნელოვან აქტორებსაც რუსეთის გარდა. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ დოქტრინის ახალ ვერსიაში რისკები და საფრთხეები უფრო მწვავედაა შეფასებული.

რუსეთის სამხედრო დოქტრინა

რუსეთის სამხედრო დოქტრინის ახალი, 2014 წლის რედაქცია, ბელარუსის ანალოგიური დოკუმენტისგან განსხვავებით, წინა, 2010 წლის ვერსიისგან გაცილებით ნაკლებად განსხვავდება. მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებები მხოლოდ საგარეო და საშინაო საფრთხეებსა და თანამედროვე კონფლიქტების მახასიათებლების აღმნიშვნელ თავებშია.

საგარეო საფრთხეებში დამატებულია რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში ისეთი რეჟიმების დამყარება, რომელთა პოლიტიკაც რუსეთის ინტერესებს საფრთხეს უქმნის, მათ შორის ლეგიტიმური ხელისუფლების „ჩამოგდების“ გზით (H) ნათელია, რომ ეს უკრაინის კონფლიქტში რუსეთის მოქმედების და რუსეთის მიერ უკრაინის ახლანდელი ხელისუფლების აღქმის დოქტრინაში ასახვას. როგორც არ უნდა იყოს, რუსეთის დოქტრინაში ასეთი ჩანაწერის გამოჩენა საყურადღებო და მნიშვნელოვანია მისი ნებისმიერი მეზობლისთვის, მით უმეტეს სამეზობლოში რუსეთის უახლოესი წარსულის გათვალისწინებით.

კიდევ ერთი „ახალი“ საგარეო საფრთხეა უცხოური ქვეყნების სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობა რუსეთის წინააღმდეგ. (O) რთული სათქმელია, რატომ დაემატა უშუალოდ ეს პუნქტი საფრთხეების ჩამონათვალს. ეს შესაძლოა იყოს რუსეთის დასავლეთთან გამძაფრებული ურთიერთობიდან გამომდინარე ან უბრალოდ

დოქტრინის შემქმნელებმა ჩათვალეს, რომ ამ საფრთხის ასახვა ზოგადად, უფრო სრულქმნილს გახდიდა საფრთხეების ჩამონათვალს და რაიმე მნიშვნელოვანი ამ მხრივ ბოლო პერიოდში არ შეცვლილა.

რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან საგარეო საფრთხეებს, აქ ყველაფერი უცვლელია; ორივე რედაქციის ჩამონათვალში პირველ ადგილს ნატოს ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მოახლოება და ნატოს გაფართოება იკავებს.

საშინაო საფრთხეებში დამატებულია მოსახლეობაზე, ძირითადად ახალგაზრდებზე, ინფორმაციული ზემოქმედება, რაც მიზნად ისახავს პატრიოტული ტრადიციების დაკნინებას და ამ გზით რუსეთის თავდაცვისუნარიანობის შემცირებას. (B) ეს დამატება ერთი მხრივ ასახავს იმ საინფორმაციო დაპირისპირებას, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში რუსეთსა და დასავლეთს მიმართ აშკარად გამძაფრებულია, ხოლო მეორე მხრივ კრემლის ბოლოდროინდელი პატრიოტული ნარატივის წაქეზების პრაქტიკაა, რაც თავის მხრივ, ასევე ნაწილობრივ დაკავშირებულია დასავლეთთან (და უკრაინასთან) დაპირისპირებასთან.

რაც შეეხება სიახლეებს თანამედროვე კონფლიქტების მახასიათებლებში, აქ დამატებულია შემდეგი პუნქტები: სამხედრო მოქმედებებში კერძო და არა-რეგულარული ძალების მოქმედება ვ); არაპირდაპირი და ასიმეტრიული საშუალებების გამოყენება II) და უცხოეთიდან დაფინანსებული და კონტროლირებული პოლიტიკური მოძრაობების გამოყენება კ). სავარაუდოდ ამ დამატებებში სირიის კონფლიქტში იმ ძალების კრიტიკა ჩანს, რომელსაც რუსეთი ეწინააღმდეგება. ეს აღწერა საკმაოდ კარგად შეესაბამება დღესდღეობით ორ ყველაზე აქტიურ კონფლიქტში, სირიაში და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს. საინტერესო მოსაზრება აქვს ამ საკითხზე ესტონეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარკო მიჰკელსონს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „the way Russia depicts modern warfare in the doctrine, is like a copy-paste from their own actions in Crimea and Eastern Ukraine“ (Mihkelson, 2014).

ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ქვეპუნქტი ბელარუსთან თანამშრომლობის შესახებ შეცვლილი არ არის და ისევ პირველ ადგილს იკავებს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტების ჩამონათვალში. (56. a)

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2015 წლის ბოლოს განახლდა და ახალმა ვერსიამ „რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2020 წლამდე“ შეცვალა. დოკუმენტში საკმაოდ ბევრი სიახლეა. განსაკუთრებით შეცვლილია ახალი დოკუმენტის მეორე თავი: „რუსეთი თანამედროვე სამყაროში.“

თუ ახალი ვერსიის ამ თავს შინაარსობრივად დავყოფთ, უნდა ვთქვათ, რომ პირველი ნაწილი რუსეთის მიღწევების აღნიშვნას ეთმობა. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთმა შეძლო ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მოქალაქეების უფლებების დაცვა, სამხედრო კონფლიქტების დარეგულირება, მსოფლიო პოლიტიკაში გაიზარდა რუსეთის როლი; (8) რუსეთის ეკონომიკამ, სანქციების მიუხედავად, გამოავლინა სტაბილურობა, (9) უმჯობესდება შობადობა და მოქალაქეთა ჯანმრთალობა (10) და ა.შ.

შემდგომ მოდის ნაწილი, რომელიც ღიად აკრიტიკებს დასავლეთს. მართალია დოკუმენტის წინა ვერსიაც აკრიტიკებდა ამავე თავში ნატოს ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მოახლოებას და ნატოს მიერ გლობალური ფუნქციის მითვისებას (იხ. ძველი ვერსიის 17), მაგრამ ახალი რედაქცია კიდევ უფრო კრიტიკულია დასავლეთთან მიმართებაში. იმ ბრალდებებს, რაც ძველ ვერსიაშია, ახალში ემატება ევროპაში, წყნარ ოკეანესა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის განთავსების კრიტიკა, (15) მიგრაციის ტალღა აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპისკენ წარმოჩენილია, როგორც ნატოზე და ევროკავშირზე დაფუძნებული უსაფრთხოების სისტემის არასტაბილურობის დასტური. (16) დასავლეთის პოზიცია რეგიონში შეფასებულია, როგორც წინამდებეობა ევრაზიაში ინტეგრაციული პროცესების მიმართ, გაკრიტიკებულია დასავლეთის მხარდაჭერა არაკონსტიტუციური გადატრიალების მიმართ, რამაც გამოიწვია „ღრმა განხეთქილება უკრაინულ საზოგადოებაში და შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნა.“ (17) ხოლო ისლამური სახელმწიფოს წარმოქმნა და გაძლიერება დაკავშირებულია ზოგიერთი სახელმწიფოს ორმაგი სტანდარტების პოლიტიკასთან ტერორიზმთან ბრძოლაში. ამავე პუნქტში გაკრიტიკებულია „ლეგიტიმური პოლიტიკური რეჟიმების ჩამოგდების

პრაქტიკა“ რაც, სტრატეგიის ავტორების აზრით „სულ უფრო გავრცელებული ხდება.“
(18)

ამ პუნქტების შინაარსში თავისთავად ახალი არაფერია. კრემლის წარმომადგენლები ამ საკითხებში დიდი ხანია ღიად აკრიტიკებენ დასავლეთს, თუმცა ის ფაქტი, რომ ამ შინაარსის დებულებები ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში მოხვდა, მიუთითებს რუსეთის და დასავლეთის ურთიერთობების ცუდ მდგომარეობაზე და ამ პრობლემის პრიორიტეტულობაზე რუსეთისთვის.

2015 წლის რედაქციის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ არსებული თავის იმ ნაწილში, სადაც საუბარი ეკონომიკის ზრდაზეა, დამატებული, რომ რუსეთის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მის წინამდდეგ ამოქმედებული სანქციები (57) და რომ რუსეთი უნდა შეეწინააღმდეგოს ზოგი ქვეყნის მიერ ენერგეტიკული ბაზრის პოლიტიკური და არა ეკონომიკური მოტივით რეგულირებას. (61)

რუსეთის ოფიციალურ დოკუმენტებში ძირითადი სიახლეებია დასავლეთის მიმართ უფრო კრიტიკული ტონი, რაც მათ შორის დაპირისპირების ზრდას გამოხატავს და ასევე რუსეთის უკმაყოფილება იმ ქვეყნების მიმართ, ვისაც ენერგორესურსებით ვაჭრობის საკითხებში ურთიერთობის პოლიტიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური მიზნების განხორციელება სურთ.

თანამშრომლობა სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში

სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში რუსეთის და ბელარუსის თანამშრომლობა ტრადიციულად გამორჩეული იყო. ჯერ კიდევ 90-იანი წლების პირველ ნახევარში მოეწერა ხელი არაერთ მნიშვნელოვან შეთანხმებას.

თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება ისაა, რომ 1995 წლიდან რუსეთს ბელარუსის ტერიტორიაზე აქვს ორი ბაზა: სამხედრო ფლოტის სადგური „ვილეიკა“ რომელიც წყალქვეშა ნავეზზე თვალყურის დევნებისთვის გამოიყენება და განცვევიჩის რადიოლოკაციური სადგური, რომლის დანიშნულება დასავლეთიდან სარაკეტო თავდასხმების იდენტიფიცირებაა. განცვევიჩის რადარი განსაუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთისთვის იმის გამო, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთმა დაკარგა ლატვიის ქალაქ სკრუნდაში არსებული რადარი, მას შემდეგ რაც ვერ მოახერხა ლატვიის მთავრობასთან ამ რადარის შენარჩუნებაზე მოლაპარაკება. განცვევიჩის რადარი და „ვილეიკა“ რუსეთს გადაეცა უსასყიდლოდ 25 წლის ვადით. (Martinsen, 2002) ბალმასედა წერს, რომ ეს ობიექტები რუსეთს “უსასყიდლოდ“ გადაეცა იმ ვალის სანაცვლოდ, რაც ბელარუსს იმ დროისთვის რუსეთის მართებდა. (Balmaceda, 2014)

2000 წელს შეიქმნა ბელარუსის და რუსეთის სამხედრო ძალების გაერთიანებული რეგიონული დაჯგუფება, რომლის ძირითადი დანიშნულება სასაზღვრო სახმელეთო დაცვაა. (Гуцев, 2010)

თანამშრომლობის მნიშვნელოვანი სფეროა ანტისაჰაერო თავდაცვა. ამ სფეროში ერთიანი რეგიონული სისტემის შექმნაზე და სამოკავშირეო სახელმწიფოს საზღვრის დაცვაზე შეთანხმებას ხელი 2009 წელს მოეწერა. (TACC, 2015) გარდა ამისა, ბელარუსის ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემა დიდი ხანია უზრუნველყოფს რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის უსაფრთხოებას. როგორც ალექსეი გუსევი 2010 წელს წერდა, ამ მონაკვეთში, „რუსეთს ანტისაჰაერო თავდაცვის ძალები თითქმის აღარ დარჩა.“ (Гуцев, 2010)

1998 წლიდან 2008 წლამდე ფუნქციონირებდა “ბელარუსი სამხედრო მოსამსახურეების რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომზადების პროგრამა“ რომლის ფარგლებშიც არაერთმა სამხედრომ მიიღო უფასოდ რუსული უმაღლესი სამხედრო განათლება. ამ პროგრამისთვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა 100 მილიონი რუსული რუბლი (იქვე) ამ პროგრამის დამფუძნებელი ბრძანების მიხედვით კურსანტების განათლებას რუსული მხარე აფინანსებდა, ხოლო პროგრამის

მიმდინარეობის პერიოდში სამხედროებს საჭირო ფინანსებით ბელარუსული მხარე უზრუნველყოფდა. (Spravka-jurist, 1998)

2001 წლიდან რუსეთი და ბელარუსი რეგულარულად ატარებენ მასშტაბურ, ერთობლივ სამხედრო წრთვნებს, რასაც როგორც სამხედრო ასევე სიმბოლური დანიშნულება აქვს. მაგალითად 2001-დან 2009 წლამდე ბელარუსის ტერიტორიაზე ექვსი ასეთი წრთვნა ჩატარდა (Гусев, 2010)

ზოგადად მკვლევარები თანხმდებიან, რომ სამხედრო თანამშრომლობა ის სფეროა, სადაც ორი ქვეყნის ინტეგრაციამ გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწია და ნაკლები დავის საგანი იყო ვიდრე თანამშრომლობის სხვა სფეროები. (Deyermond, 2004; Коновалов, 2014)

გაუგებრობები ამ სფეროში მას მერე მომრავლდა, რაც 2013 წლის აპრილში რუსეთმა ბელარუსს მის ტერიტორიაზე რუსეთის ავიაციის ბაზის შექმნა შესთავაზა. რუსული მხარის გეგმის მიხედვით 2013 წელსვე ბელარუსში რუსეთის საჰაერო ძალების პირველი ცვლა უნდა განთავსებულიყო, ხოლო 2015 წლიდან უკვე ბაზაზე რუსული პოლკი განთავსდებოდა, „რუსული შემადგენლობით და ხელმძღვანელობით“. (Народная Воля, 2013) ლუკაშენკოს პოზიცია განსხვავებული იყო. მისი თქმით ბელარუსს თვითმფრინავები სჭირდება და არა უცხო ქვეყნის ავიაციის ბაზა, რადგან ქვეყანას თავადაც კარგი პილოტები ყავს. (Regnum, 2015) საჰაერო ბაზის შექმნის იდეა გააკრიტიკეს ბელარუსის თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრებმაც. (Bohdan, 2015) ხსენებული ბაზა დღემდე არ არსებობს.

საყურადღებოა, რომ ორი ქვეყნის ერთობლივი წრთვნები უკრაინის კონფლიქტის შემდგომ აღარ არის ისეთი მასშტაბური, როგორც მანამდე. მაგალითად „კავშირის ფარი-2015“ წრთვნებში მონაწილეობა 8 ათასმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო, ხოლო 2011 წელს ანალოგიურ წრთვნებში 12 000 ადამიანი მონაწილეობდა. (იქვე)

იგივე შეიძლება ითქვას წრთვნებზე “Запад” რომელიც 2009 წლიდან ყოველ 4 წელიწადში იმართება. თუ 2009 წელს წრთვნებში 6000 რუსი სამხედრო მონაწილეობდა,

წლევანდელი წლის სექტემბერში 3000 რუსი სამხედროს მონაწილეობაა დაანონსებული.
(Алдохин, 2017)

გარდა ამისა, მცირდება რუსეთში განათლების მიმღები ბელარუსი სამხედროების რიცხვი. თუ 2015 წელს რუსეთში უმაღლეს სამხედრო განათლებას 447 ბელარუსი კადეტი იღებდა, 2016 წელს ეს რიცხვი 374-მდე შემცირდა. (Astapenia, Balkunets, 2016)

ასევე, ბელარუსი ყოველ წელს ატარებს სამხედრო წრთვნებს ჩინეთთან ერთად, როცა მანამდე, ასტაპენიას და ბალკუნეტის შეფასებით, რუსეთის გარეშე წრთვნებში მონაწილეობა „შეუძლებელი იყო“. ამ ავტორების დასკვნაა, რომ ბელარუსი ახალი კავშირებს ეძებს სამხედრო სფეროში. (იქვე)

რა თქმა უნდა ამავე პერიოდში ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობაში პოზიტიური მოვლენებიც იყო. მაგალითად, მხარეები Su-30 ტიპის სამხედრო თვითმფრინავების შეღავათიან ფასად გადაცემაზე, რაც 2017 წელს იგეგმება. (Bohdan, 2017) ბოგდანის აზრით, ეს შეთანხმება „ზაპად-2017“ წრთვნების სანაცვლოდ რუსეთის მიერ გადახდილი ფასია. ხოლო ზოგადად უკრაინის კონფლიქტის შემდეგ „სამხედრო კავშირების ყველა შესამჩნევ ასპექტში მინსკის გაზრდილი ავტონომიის ნიშნებია“ (Bohdan, 2015)

ასეა თუ ისე, რუსეთის და ბელარუსის თანამშრომლობა ამ სფეროში ისევ სამაგალითოა სხვა სფეროებთან შედარებით და ორივე ქვეყნისთვის მეორე მხარე მასთან ყველაზე მჭიდროდ ინტეგრირებული სახელმწიფოა, მაგრამ უსაფრთხოების სფეროშიაც კი უთანხმოებების მომრავლება უკანასკნელ პერიოდში იმის მანიშნებელია, რომ უკრაინის მოვლენების შემდეგ ბელარუსი ცდილობს გაზარდოს ავტონომია უსაფრთხოების საკითხებში და მოძებნოს ახალი პარტნიორები.

თანამშრომლობა გაზით და ნავთობით ვაჭრობის სფეროში

გაზით და ნავთობით ვაჭრობა ერთ-ერთი ძირითადი სფეროა, რითაც რუსეთი პრეფერენციულ პირობებში ამყოფებს მინსკს და ხელს უწყობს მინსკში არსებულ რეჟიმს. მინსკისთვის ამ სფეროში რუსული მატერიალური დახმარების მნიშვნელობის საჩვენებლად იმის ხსენებაც საკმარისია, რომ გაზზე და ნავთობზე რუსეთის მხრიდან

გაწეული სუბსიდიების რაოდენობამ 2014 წლისთვის ბელარუსის მშპ-ს 8%-ს გადააჭარბა. (Alachnovič, 2015)

ამ თავში განხილული იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობა ამ სფეროში 2000 წლიდან, ურთიერთობის დინამიკა, მხარეთა ინტერესები და პრიორიტეტები და დინამიკის ცვლილების მიზეზები.

სანამ უშუალოდ ამ ნაშრომის საკვლევ პერიოდზე გადავალთ, უნდა ითქვას, რომ 1998 წლის რუსეთის ეკონომიკური კრიზისის დროს ბელარუსისთვის მიყიდული რუსული გაზის ფასი გახდა 30\$/1000მ³. ეს ფასი 2-3ჯერ ნაკლები იყო ბელარუსის მეზობლების მიერ გადახდილ ფასზე. ამის მიუხედავად, ბელარუსი განაგრძობდა დაბალი ფასის მოთხოვნას და მინსკის ინიციატივით 2002 წლის აპრილში ხელი მოეწერა „შეთანხმებას ფასების პოლიტიკაში თანაბარი პირობების შექმნის შესახებ“. (Balmaceda, 2014) ამ შეთანხმების მეოთხე მუხლის თანახმად, 1 მაისიდან, ბელარუსი რუსეთისგან გაზს მიიღებდა რუსეთის ფედერაციის მეხუთე საფასო სარტყელის ანალოგიურ ფასად. (Spinform, 2002) ამგვარად, რუსული გაზის ფასი ბელარუსისთვის გაუტოლდა გაზის ფასს სმოლენსკის რეგიონისთვის და შეადგინა დაახლოებით 22-24\$/1000მ³. შედარებისთვის, ამ დროისთვის უკრაინა რუსულ გაზში 42\$/1000მ³-ს იხდიდა. (Balmaceda, 2014)

ამ შეთანხმების პარალელურად მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაზპრომი, იაფი გაზის სანაცვლოდ კუთვნილებაში მიიღებდა გაზის ტრანსპორტირებით დაკავებული სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი კომპანიის, ბელტრანსგაზის ნახევარს. იმპორტიორი ქვეყნის ენერგეტიკის ტრანსპორტის სისტემის შექმნის მცდელობა ექსპორტიორის მხრიდან გავლენის ზრდის საშუალება და რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკისთვის ჩვეული პრაქტიკაა. ბელარუსის შემთვევაში, რუსეთი მანამდეც და მერეც არაერთხელ ცდილობდა ბელტრანსგაზის შექმნას და სანაცვლოდ, როგორც წესი გაზის ბელარუსისთვის შეღავათიან ფასად მიწოდების პირობას დებდა (მაგალითად რუსეთმა გაზის საფასურის გადაუხდელობის გამო ჯერ კიდევ 1994 წელს შეუმცირა ბელარუსს გაზის მიწოდება, რის შემდეგაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ

ბელტრანსგაზის ნახევარი გაზპრომს უნდა გადაცემოდა, თუმცა ბელარუსის უმაღლესმა საბჭომ არ მოახდინა შეთანხმების რატიფიკაცია. (იქვე)

2002 წლის შეთანხმების და მის მიხედვით დაკლებული ფასის მიუხედავად ბელარუსის ხელისუფლება ჯერ ბელტრანსგაზის პრივატიზაციას არ ჩქარობდა, ხოლო მოგვიანებით ბელარუსიული მხარე და გაზპრომი ვერ თანხმდებოდნენ ბელტრანსგაზის გაზპრომისთვის მისაყიდ ფასზე. რუსული მხარე, ბუნებრივია უკმაყოფილო იყო შეთანხმების ცალმხრივი შესრულებით, რის გამოც გაზპრომმა 2004 წლის თებერვალში სრულიად შეუწყვიტა ბელარუსს გაზის მიწოდება, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მანამდე არასდროს რუსეთს იმპორტიორი ქვეყნისთვის გაზის მიწოდება სრულიად არ შეუწყვეტია. თავის მხრივ, ბელარუსმა ამ ნაბიჯს ევროპაში ტრანზიტისთვის განკუთვნილი გაზის ნაწილის მითვისებით უპასუხა. ბელარუსისთვის გაზის მიწოდება რუსეთმა ერთ დღეში აღადგინა. (Bruce, 2005)

დავა 2004 წლის ივლისში გადაწყდა, როდესაც ბელარუსი დათანხმდა გაზრდილი ფასის, $46.68\$/1000\text{მ}^3$ გადახდას, მაგრამ სანაცვლოდ ტრანზიტის ფასი $\$0.55/\text{mcm}/100\text{კმ}$ -დან $\$0.75/\text{mcm}/100\text{კმ}$ -მდე გააძვირა. ამასთან მინსკმა რუსეთისგან 157 მილიონი დოლარის სესხი მიიღო გაზპრომის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად.

საინტერესოა თუ რატომ დათანხმდა ასეთ პირობებს რუსული მხარე, მით უმეტეს რომ მათი თავდაპირველი მოთხოვნა (ბელტრანსგაზის ნახევარი წილის შეძენა) საბოლოოდ არ დაკმაყოფილდა. ბრიუსი ამას ერთი მხრივ ეკონომიკურ ფაქტორს უკავშირებს - ბელარუსი ხშირად ვერ ახერხებდა გაზპრომის მომსახურებისთვის არსებული ფასის გადახდას (რის გამოც საჭირო იყო ტრანზიტის ფასის ზრდაზე დათანხმება და სესხის გაცემა). ავტორის აზრით სესხის გაცემამ საშუალება მისცა რუსებს გაზრდილი ფასების მიუხედავად შეენარჩუნებინა „მშური კავშირის“ რიტორიკა და უზრუნველყო ბელარუსის გადამხდელუნარიანობა. (Bruce, 2005)

გარდა ამისა ბრიუსი ამ მოლაპარაკებებში დათმობას უკავშირებს რუსეთის სურვილს სასურველი შედეგი მიეღწია იმ პერიოდის მოლაპარაკებებში მონეტარული კავშირის და ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ. (იქვე)

განსხვავებული აზრი აქვს ბალმასედას. ის ფიქრობს, რომ დათმობები ივლისის მოლაპარაკებებში გამოწვეული იყო მოსკოვის სურვილით დროულად დასრულებულიყო იამალის გაზსადენის ქვეშ არსებულ მიწაზე რუსეთისთვის უფლებების გადაცემა და ოთხი კომპრესორი სადგურის მშენებლობა გაზსადენზე, რაც რუსეთს ევროპაში გაზის ექსპორტისთვის ჭირდებოდა, რადგან ამის გარეშე ტექნიკურად ვერ ხერხდებოდა გაზსადენის სრული შესაძლებლობის გამოყენება და რასაც ბელარუსული მხარე აჭიანურებდა. (Balmaceda, 2014)

ორივე ავტორის მოსაზრება გულისხმობს რუსეთის სურვილს, გამოეყენებინა გაზის ფასზე მიმდინარე მოლაპარაკებები სხვა მიზნის მისაღწევად, რასაც, როგორც ჩანს, რუსები უშუალოდ ბელარუსისგან მიღებულ მატერიალურ სარგებელზე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. ფაქტია, რუსული მხარე საკმაოდ ხანი ცალმხრივად ასრულებდა 2002 წლის შეთანხმების პირობებს, ხოლო საბოლოოდ ვერ მოახერხა ბელტრანსგაზის ნახევრის დასაკუთრება, რასაც მოლაპარაკების დასაწყისში ცდილობდა. გარდა ამისა, მართალია რუსეთმა მიაღწია გაზის ფასის მატებაზე შეთანხმებას, მაგრამ თავადაც დათანხმდა ტრანზიტის ფასის გაძვირებაზე და სესხიც თავად გამოყო. თანაც, მომატებული ფასის მიუხედავად ბელარუსი ისევ თავის მეზობლებზე ნაკლებს იხდიდა.

საგულისხმოა, რომ 2004 წლისთვის, ახალი ფასი, $46.68\$/1000\text{მ}^3$ დიდად აღარ ჩამოუვარდებოდა უკრაინის მიერ გაზპრომის გაზისთვის გადახდილ საფასურს ($50\$/1000\text{მ}^3$) თუმცა ბევრად ჩამორჩებოდა მოლდოვას მიერ გადახდილ საფასურს. ($80\$/1000\text{მ}^3$) (იქვე)

2005 წელს ფასი გაძვირდა რუსეთში დღგ-ს წესის ცვლილების შესაბამისად, გაზზე ფასის ცვლილების გარეშე, მისი იმპორტი ახლა ბელარუსულ მხარეს უჯდებოდა არა $46.68\$/1000\text{მ}^3$ არამედ $53.89\$/1000\text{მ}^3$. ამ ცვლილების გათვალისწინებით, რუსეთმა 2005 წლის ივნისში ბელარუსს დამატებით 146 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო. (იქვე)

სამაგიეროდ ბელარუსს 2006 წელს არ შეხებია გაზის საფასურის მატების ტალღა, რაც არაერთმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ იწვნია. 2006 წლის დასაწყისიდან უკრაინისთვის

რუსული გაზის ღირებულება 95\$/1000მ³, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოსთვის 110\$/1000მ³ ხოლო მოლდოვასთვის 150\$/1000მ³ გახდა. (Konończuk, 2007)

საერთო ჯამში, 2000-დან 2006 წლის ჩათვლით ბელარუსი გაზპრომის გაზში იხდიდა ჯერ 2-3ჯერ ნაკლებს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით(2002-მდე), შემდეგ რუსეთის შიდა მომხმარებლების საფასურს (2002-დან 2004 წლამდე) შემდეგ კი ბელარუსის საფასური „დიდად არ აღემატებოდა მომხმარებლების მიერ გადახდილ ფასს რუსეთში და რამდენიმეჯერ ნაკლები იყო რეგიონში სხვა ქვეყნების მიერ გადახდილ ფასზე.“ (იქვე) ამავდროულად, ამ პერიოდში ბელარუსი არ თმობდა ბელტრანსგაზის ნახევარსაც კი, რის შედეგადაც რუსეთი წლების მანძილზე ცდილობდა.

რაც შეეხება ნავთობით ვაჭრობას, ამ სფეროში 2000-დან 2006 წლამდე რუსეთიდან ნავთობის იმპორტი მინსკის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო, რადგან ბელარუსი ნავთობს ფასდაკლებით და უბაჟოდ ყიდულობდა და შემდეგ დასავლეთში, საბაზრო ფასის მიხედვით ყიდდა. თანაც, 2007 წლამდე საექსპორტო ბაჟი ბელარუსში ნაკლები იყო ვიდრე რუსეთში, რათა რუსულ კომპანიებისთვის ნავთობის ექსპორტი ბელარუსიდან უფრო სარგებელი ყოფილიყო, ვიდრე რუსეთიდან. (Balmaceda, 2014) ამასთან, 1995 წლის შეთანხმების მიხედვით ბელარუსის მიერ ექსპორტირებული, რუსული ნავთობისგან მიღებული ნავთობპროდუქტების საექსპორტო ბაჟისგან მიღებული შემოსავლის 85% რუსეთის ბიუჯეტში უნდა წასულიყო, 15% კი ბელარუსის ბიუჯეტში, რასაც ბელარუსული მხარე ამ წლების განმავლობაში არღვევდა და შემოსავლის 100%-ს თავად იტოვებდა. (იქვე) საყურადღებოა, რომ ამის მიუხედავად, 2006 წლის ბოლომდე ნავთობპროდუქტებით ვაჭრობასთან დაკავშირებით ქვეყნებს მნიშვნელოვანი უთანხმოება არ ქონიათ (გაზით ვაჭრობისგან განსხვავებით).

ნავთობთან დაკავშირებული მორიგი დავები ქრონოლოგიურად საკმაოდ ზუსტად დაემთხვა გაზის დავებს. 2006 წლის ბოლოს რუსეთმა იმის საპასუხოდ, რომ ბელარუსი არღვევდა 1995 წლის შეთანხმებას და არ იხდიდა რუსული ნავთობის ექსპორტისგან მიღებული ბაჟის შესაბამის ნაწილს, რუსულმა მხარემ გამოაცხადა, რომ თუ ეს არ გამოსწორდებოდა, რუსეთი დააწესებდა ბაჟს რუსული ნავთობპროდუქტების ბელარუსში გატანაზე. ამავდროულად, რუსულმა მხარემ გადაწყვიტა შეეწყვიტა

ბელარუსისთვის შეთანხმებისეული 15%-ის დატოვებაც. უთანხმოებების ფონზე და დახმარების შემცირების საპასუხოდ ბელარუსმა ნავთობსადენიდან საექსპორტო ნავთობის მითვისება დაიწყო, რის გამოც რუსეთმა მთლიანად შეუჩერა ნავთობის მიწოდება ბელარუსს. ამგვარად ნავთობის მიწოდება შეუწყდა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანასაც. საბოლოოდ შეთანხმება მიღწეულ იქნა 10 იანვარს (იქვე) ბელარუსმა დამატებითი გადასახადი გააუქმა, ნავთობის ტრანზიტის ფასი კი 30%-ით გაზარდა.

ამ შეთანხმების თანახმად ბელარუსს უნდა დაეწყო იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც რუსული ნავთობპროდუქტების ექსპორტის საბაჟო შემოსავლის 85%-ს რუსეთის ბიუჯეტში დაბრუნებას გულისხმობდა. ეს ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო, 2007 წელს ბელარუსი რუსეთს „დაუბრუნებდა“ ამ შემოსავლის 70%-ს, 2008 წელს 80%-ს და 2009 წელს 85%-ს. (Zaytra.by, 2010) თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქამდე რუსეთი ბელარუსის მხრიდან შეთანხმების დარღვევაზე წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდა, ეს ნაბიჯი, რა თქმა უნდა, სუბსიდირების მნიშვნელოვანი შემცირება იყო. მეორე მხრივ, 2007წლიდან რუსეთმა დააწესა საბაჟო გადასახადი ბელარუსისთვის რუსეთიდან იმ ნავთობის იმპორტზე, რომელიც არ იყო განკუთვნილი ბელარუსიდან საექსპორტოდ. მართალია ეს საბაჟო გადასახადი გაცილებით მცირე იყო იმაზე ვიდრე ბელარუსის მეზობელი ქვეყნები იხდიდნენ, (Alachnoviĉ, 2015) მაგრამ ცხადია ეს მორიგი შემცირება იყო რუსეთის მხრიდან ბელარუსის დახმარების.

2006 წლის ბოლოდან რუსეთმა განაახლა ბელტრანსგაზის შეძენის მცდელობებიც და ამავდროულად ბელარუსის მიმართაც დაიწყო იმ პოლიტიკის გატარება, რომლის მიხედვითაც 2011 წლისთვის „თანასწორი სარგებელი“ უნდა მიეღო გაზის გაყიდვებით ქვეყნის შიდა, დსთ-ს და ევროპის ბაზრებზე. (Yafimava, 2010)

გაზპრომის პოზიცია იყო, რომ თუ 2007 წლის დასაწყისამდე შეთანხმება ახალ ფასზე მიღწეული არ იქნებოდა, ბელარუსს გაზის მიწოდება შეუწყდებოდა. რუსეთის დუმის ენერგეტიკის, ტრანსპორტის და კომუნიკაციების თავმჯდომარის, ვალერი იაზევის ინფორმაციით, გაზპრომი 2007 წლიდან გაზის ფასის გაზრდას 230\$/1000მ³-მდე გეგმავდა. მინსკის პოზიცია კი იყო, რომ ბელარუსს, 2002 წლის აპრილის შეთანხმების

მიხედვით, იმავე ფასებით უნდა ესარგებლა, რაც სმოლენსკის რეგიონს, რაც 2007 წლისთვის 54\$/1000მ³ იყო. (Konończuk, 2007)

ამავდროულად 2006 წელს რუსეთმა აამოქმედა შეზღუდვები ბელარუსიდან იმპორტზე. თებერვალში შეიზღუდა შაქრის იმპორტი, ნოემბერში ტკბილეულის, ხოლო დეკემბერში ალკოჰოლური სასმელების იმპორტი. (Balmaceda, 2014)

2006 წლის 31 დეკემბერს მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 2007 წლისთვის გაზის იმპორტის ფიქსირებული ფასი 100\$/1000მ³ იქნებოდა, ხოლო მომდევნო წლებში ფასი დადგინდებოდა იმის მიხედვით, თუ რა ფასად ყიდდა გაზპრომი გაზს ევროპაში. 2008 წელს ბელარუსს უნდა გადაეხადა ევროპული ფასის 67%, 2009 წელს ევროპული ფასის 80% ხოლო 2009 წელს 90%. 2011 წლიდან ბელარუსის მიერ გადახდილი ფასი გაუტოლდებოდა „საბაზრო ფასს.“ თავის მხრივ შეთანხმება ითვალისწინებდა სატრანზიტო ფასის ზრდასაც 0.75\$-დან 1.45\$-მდე. (იქვე)

გარდა ამისა, ამავე შეთანხმების პარალელურად მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაზპრომი 2011 წლამდე შეიძენდა ბელტრანსგაზის 50%-ს 2.5 მილიარდ დოლარად. ეს იყო ის მაქსიმალური ფასი, რაც დაადგინა ორივე მხარის მიერ მოწვეულმა ჰოლანდიურმა ABN Ambro ბანკმა, რადგან მხარეები დამოუკიდებლად ვერ ახერხებდნენ ბელტრანსგაზის ფასზე შეთანხმებას. (Yafimava, 2010)

2006 წლის დაპირისპირება გამორჩეულად დამაბული იყო, რაც მტკიცდება იმით, რომ რუსეთმა დავის პარალელურად ბელარუსულ იმპორტს პრობლემები შეუქმნა. რუსეთმა იგივე პოლიტიკა არაერთხელ გამოიყენა იმ ქვეყნების მიმართ, ვისთანაც პოლიტიკური უთანხმოებები ჰქონდა. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთმა ბევრ სხვა ქვეყანას გაუძვირა გაზი 2006 წელს, უფრო ადრე ვიდრე ბელარუსს და თანაც გაზის ექსპორტის საბაზრო მოდელზე გადასვლა პუტინის რუსეთის გამოცხადებული პოლიტიკა იყო, ბელარუსისთვის 2007 წლიდან გაზის გაძვირება არ უნდა აღვიქვათ, როგორც უშუალოდ მინსკის წინამდდეგ გადადგმული ნაბიჯი, არამედ, როგორც ამ ზოგადი პოლიტიკის გაგრძელება. თანაც, საბოლოო ფასი, რომელზეც 2007 წლისთვის შეთანხმდნენ, უფრო ახლოს იყო ბელარუსის მოთხოვნასთან, ვიდრე გაზპრომის გეგმასთან დავის დასაწყისში. რაც შეეხება ბელტრანსგაზის ფასზე დავას, აქ რუსეთი

დათანხმდა გადაეხადა დამოუკიდებელი აგენტის მიერ შეთავაზებული უმაღლესი ფასი. ეს ფაქტები ერთად საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ამ დავაში რუსეთის ძირითადი მიზანი იყო ბელტრანსგაზზე კონტროლის დამყარება ხოლო ბელარუსში გაზის ფასის მომატება იყო მეორეხარისხოვანი მიზანი, რაც ნაწილი იყო რუსეთის პოლიტიკისა სხვა იმპორტიორი ქვეყნების მიმართ იმავე წლებში და არა უშუალოდ მინსკის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. დავა დაიწყო რუსეთმა და მიაღწია ძირითად მიზანს თუმცა წავიდა მნიშვნელოვან ფინანსურ დათმობებზე.

საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც 2010 წლის თებერვალში, გაზრპომმა დაასრულა 50%-ის შექენა, გაზპრომის ფინანსურმა დირექტორმა განაცხადა, რომ გაზპრომი დაინტერესებული იყო კუთვნილი წილის გაზრდით (რაც მათ ერთობლივ საწარმოს კონტროლს მოუტანდა). (Yafimava, 2010) ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მიზანი 2010 წლისთვის ჯერაც არ იყო მიღწეული და შესაბამისად მისი პოზიცია და მიზნები ამ საკითხში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

გადაუხდელობის პრობლემამ მალევე იჩინა თავი. მართალია 31 დეკემბრის შეთანხმების მიხედვით 2007 წელს გაზის ფასი ბელარუსისთვის 100\$/1000მ³ ხდებოდა, მაგრამ წლის პირველ ნახევარში ბელარუსს გაზპრომი საშუალებას აძლევდა გადასახადის მხოლოდ 55% გადაეხადა, ხოლო ივლისიდან უნდა გადასულიყო მთლიანი ფასის გადახდაზე და 23 ივლისისთვის გაესტუმრებინა ამ შეღავათით დაგროვილი ვალი, რამაც ივლისის თვეში 453.16 მილიონ დოლარს მიაღწია.

იმის გამო, რომ 23 ივლისისთვის ბელარუსულ მხარეს ვალი დაფარული არ ჰქონდა, გაზპრომმა გადაწყვიტა 3 აგვისტოდან ბელარუსისთვის გაზის მიწოდება 45%-ით შეემცირებინა. თუმცა, ბელტრანსგაზმა 3 აგვისტოს ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაისტუმრა, რის გამოც 3 აგვისტოს გაზპრომს გაზი არ შეუწყვეტია ხოლო შემდეგი კვირის განმავლობაში ბელტრანსგაზმა დაფარა 453.16 მილიონის დავალიანება. (Pria, 2017)

შემდეგი დავა 2010 წელს წარმოიშვა. არსებული შეთანხმების მიხედვით, 2009 წლის პირველ ნახევარში ბელარუსს გაზპრომის გაზში 169.22\$ ხოლო მეორე ნახევარში 184\$/1000მ³ უნდა გადაეხადა. ამის მიუხედავად ბელარუსი 2009 წელს აგრძელებდა

150\$/1000მ³-ის გადახდას, რის გამოც ივნისში ახალი ვალი დაუგროვდა, რომელიც გაზპრომის მიხედვით 192 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო მინსკის ვერსიით 133 მილიონ დოლარს. (იქვე)

2010 წლის აპრილში ბელარუსულმა მხარემ გაზპრომს გაუგზავნა გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა გაგრძელებულიყო გაზის სექტორში თანამშრომლობა 2011 წლის ბოლოდან. ამ გეგმის მიხედვით, იქიდან გამომდინარე, 2007 წლის შეთანხმებაში ნაგულისხმევი იყო, რომ 2011 წლიდან რუსეთის შიდა ბაზარზე გაზის ფასი სუბსიდირებული აღარ იქნებოდა და საბაზრო პრინციპით დადგინდებოდა, რაც არ შესრულდა, გაზპრომს ბელარუსისთვისაც უნდა გაეგრძელებინა ფასდაკლება გაზზე, შიდა ბაზარზე არსებული მომხმარებლისთვის გაწეული დახმარების მსგავსად (როგორც იაფიმავა წერს, შიდა ბაზარზე საბაზრო ფასის მიღწევა გაზპრომმა 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის გამო გადაავადა). (Yafimava, 2010) ამ გეგმაზე შეუთანხმებლობის შემდეგ ლუკაშენკომ მზადყოფნა გამოთქვა რუსული, შიდა ფასით გაზის მიღების სანაცვლოდ გაზპრომისთვის ბელტრანსგაზის საკონტროლო პაკეტი მიეყიდა. (Lukashenko, 2010) რაც ორი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: ჯერ ერთი, ბელარუსისთვის ბელტრანსგაზის ფლობა ნაკლებად პრიორიტეტული იყო ვიდრე გაზის ფასსა და დავალიანებებს საკითხზე რუსეთისგან მატერიალური დახმარების მიღება და ისინი ბელტრანსგაზის გაყიდვის ვარიანტს მოლაპარაკებებში საკუთარი პოზიციის გასამდიერებლად იყენებდნენ. გარდა ამისა, 2010 წელს, როგორც ჩანს, ბელარუსის სავაჭრო პოზიცია რუსეთთან იმდენად დასუსტებული იყო, რომ ისინი, როგორც იქნა, მზად იყვნენ ბელტრანსგაზი საბოლოოდ დაეთმოთ.

15 ივნისს, პრეზიდენტმა მედვედევმა გაზპრომის თავმჯდომარე ალექსეი მილერთან შეხვედრისას ბელარუსის ვალის თემას შეეხო და მინსკს ვალის გასასტუმრებლად 5 დღე მისცა. საპასუხოდ, 18 ივნისს, ბელარუსის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, ედუარდ ტოვპენეცმა, განაცხადა, რომ გაზპრომს თავად ჰქონდა 200 მილიონზე მეტი დავალიანება ბელარუსის მიმართ სატრანზიტო გადასახადის გადაუხდელობის გამო. (Yafimava, 2010) თუმცა 19 ივნისს, რუსეთის ვიცე-პრემიერმა, ზუბკოვმა, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ბელარუსულ მხარეს არ წარუდგენია

დოკუმენტები რუსული მხარისთვის ტრანზიტთან დაკავშირებული დავალიანების შესახებ. (Pina, 2010)

21 ივნისს გაზპრომმა ბელარუსს გაზის მიწოდება ყოველდღიური ნორმის 15%-ით, ხოლო 22 ივნისს (თავდაპირველი ნორმის) კიდევ 15%-ით შეუმცირა. საპასუხოდ, იმავე დღეს, ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მაისის მდგომარეობით გაზპრომს სატრანზიტო საფასურის გადაუხდელობის გამო 260 მილიონის ვალი დაუგროვდა და რომ მან ტრანზიტის გადაკეტვის ბრძანება გასცა, სანამ გაზპრომი ვალს არ გაისტუმრებდა. (Pina, 2017)

23 ივნისს, ბელარუსმა გადაუხადა გაზპრომს 187 მილიონი დოლარი, რაც გაზპრომის წარმომადგენლებმა 24 ივნისს დაადასტურეს და გაზის შეთანხმებისეული რაოდენობით მიწოდება აღადგინეს.

23 ივნისსვე ბელარუსის პრემიერ მინისტრის მოადგილემ, სემაშკომ, გაზპრომისგან ტრანზიტის საფასურის დავალიანების დასაფარად 260 მილიონი დოლარის გადახდა მოითხოვა და წინამდღევ შემთვევაში ტრანზიტის შეწყვეტით დაიმუქრა. (Yafimava, 2010) გაზპრომმა 260 მილიონის ნაცვლად 228 მილიონი დოლარი გადაიხადა. (Caldioli, 2012)

ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსული მხარის მტკიცებით, მოქმედი შეთანხმება ტრანზიტის ფასის ეტაპობრივ გაძვირებას აკავშირებდა ბელარუსში საშინაო ფასის გაძვირებასთან, რაც არ მომხდარა, შესაბამისად გაზპრომი 2010 წელსაც აგრძელებდა \$1.45/mcm/100კმ-ის გადახდას, ხოლო ბელარუსის პოზიციით 2010 წლისთვის არსებული შეთანხმებით, ტრანზიტის ფასი უკვე \$1.88/mcm/100კმ უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარეობდა 32 მილიონიანი სხვაობა მხარეების მიმართ გაზპრომის ვალის შეფასებაში. (Pina, 2010)

ამ საკითხის მოსაგვარებლად ივლისის დასაწყისში გაზპრომმა და ბელტრასნგაზმა დამატებით შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომლის ფარგლებშიც გაზპრომი დათანხმდა, რომ ამერიიდან ტრანზიტის ფასი \$1.88/mcm/100კმ იქნებოდა. (იქვე)

2011 წელს გაზპრომის გაზის საშუალო საფასური ბელარუსისთვის 249\$/1000მ³ შეადგენდა. (Риа, 2011)

2011 წლის აგვისტოში პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზად იყო 2012 წლიდან ბელარუსისთვის დაეკლო გაზის საფასური, რაც „ინტეგრაციის ფასდაკლებად“ მოიხსენია. 25 ნოემბერს მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც გაზპრომი ბელტრანსგაზის 100%-ის მფლობელი გახდა, (დარჩენილი 50%, რაც აქამდე ბელარუსის მფლობელობაში იყო, რუსეთმა 2.5 მილიარდ დოლარად შეიძინა 2007 წლის შეთანხმებით) რის სანაცვლოდაც ბელარუსმა გარკვეული შეღავათები მიიღო. შეთანხმების მიხედვით, 2012 წელს, გაზპრომის გაზის საშუალო საფასური ბელარუსისთვის 164\$/1000მ³ გახდა. პუტინის შეფასებით ეს ფასი ბელარუსულ მხარეს არანაკლებ 2 მილიარდი დოლარის დაზოგვის საშუალებას მისცემდა. (იქვე)

გარდა ამისა, ამავე შეთანხმების მიხედვით, რუსეთმა ბელარუსს გაზის საფასურთან დაკავშირებული ვალის რესტრუქტურის შესაძლებლობა მისცა. ეს ვალი დაგროვილი იყო იქიდან, რომ 2011 წლის მესამე კვარტალში ბელარუსი 279,2\$/1000მ³-ის ნაცვლად გაზპრომს 244,8\$/1000მ³-ს უხდიდა. რაც შეეხება ბელარუსის ევროპულ ფასზე გადასვლას, რაც მანამდე არსებული შეთანხმების მიხედვით 2012 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, ახლა გადაწყდა, რომ ეს 2014 წლამდე არ მოხდებოდა. (იქვე)

როგორც ვხედავთ რუსეთი აქაც მნიშვნელოვან მატერიალურ დათმობებზე დათანხმდა ბელტრანსგაზის დარჩენილი წილის შესაძენად. რაზეც მაგალითად მიგვანიშნებს ამ შეთანხმების შემდეგ ბელარუსის მიერ გადახდილი საფასურის რაოდენობის შედარება მის მეზობელ ქვეყნებთან (მით უმეტეს, რომ ბელარუსი გაზპრომის გაზში 2011 წელსაც მათზე ნაკლებს იხდიდა). 2013 წელს ბელარუსმა გაზპრომის გაზში გადაიხადა 166\$/მ³ უკრაინამ 485\$/მ³ ხოლო პოლონეთმა 526\$/1000მ³ (RFERL)

2010 წელს დავა ნავთობის საკითხზეც წარმოიშვა. ბელარუსმა დსთ-ს ეკონომიკურ სასამართლოს მიმართა იმ მოტივით, რომ მათი აზრით რუსეთის მხრიდან ბელარუსში ნავთობის ექსპორტზე დაწესებული საბაჟო გადასახადი ეწინააღმდეგებოდა არსებულ შეთანხმებებს. 8 ოქტომბერს სასამართლომ მხარეებს საკითხის მოსაგვარებლად 3 თვის ვადა მისცა. შეთანხმება 9 დეკემბერს იქნა მიღწეული, რომლის მიხედვითაც რუსეთი

დათანხმდა საერთო ეკონომიკური სივრცის შეთანხმების ამოქმედების შემთხვევაში (საერთო ეკონომიკური სივრცე 2012 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა) ბელარუსში ნავთობპროდუქტების ექსპორტზე საბაჟო გადასახადის გაუქმებას, ხოლო ბელარუსი დათანხმდა, რომ საბაჟო კავშირის გარეთ ექსპორტირებული რუსული ნავთობპროდუქტების ბაჟისგან მიღებული შემოსავალი მთლიანად რუსეთის ბიუჯეტში გაიგზავნებოდა. (Риа, 2017)

ამ დავაში, როგორც ჩანს, რუსეთმა გაცილებით მეტს მიაღწია ვიდრე ბელარუსმა, რადგან ბაჟის გაუქმების სანაცვლოდ მიიღო ინტეგრაცია, ხოლო ამავდროულად ბელარუსი იძულებული გახდა მთლიანად დაეთმო ის საბაჟო შემოსავალი, რის გამოც რუსეთმა თავის დროზე ბელარუსში ექსპორტზე ბაჟი დააწესა.

მორიგი დავა 2016 წლის დასაწყისში დაიწყო და გაზის და ნავთობის საკითხთან ერთად არაერთ სხვა სფეროსაც გადაწვდა. ბელარუსიულმა მხარემ ფასის დაკლების მოთხოვნა რუსული რუბლის დოლართან მიმართებაში გაუფასურებას დაუკავშირა და მოითხოვა, რომ მოქმედ კონტრაქტში გაწერილი 142\$/1000მ³ ის ნაცვლად მხოლოდ 72\$ გადაეხადა. ამასთან ბელარუსმა ცალმხრივად დაიწყო 142\$-ის ნაცვლად 107\$-ის გადახდა, რითაც ვალი დაუგროვდა. პასუხად რუსეთმა ბელარუსში მიწოდებული ნავთობის რაოდენობა წელიწადში 24 ტონიდან 18 ტონამდე შეამცირა. (Марцинкевич, 2017) 28 სექტემბერს მინსკმა მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც 10 ოქტომბრიდან ნავთობის ტრანზიტის საფასური 50%-ით უნდა გაძვირებულიყო. ეს გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ პირველი თებერვლიდან შევიდა, (Риа, 2017) რაც სავარაუდოდ პარალელურად მიმდინარე მოლაპარაკებების დამსახურებაა. გაზზე და ნავთობზე დავის პარალელურად ორი ქვეყნის ურთიერთობაში ამავე პერიოდში არაერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა, რაც დამატებით მიუთითებს კრიზისულ მდგომარეობაზე ურთიერთობაში.

კერძოდ, 2017 წლის იანვარში, მას შემდეგ რაც ბელარუსმა სავიზო პოლიტიკის ლიბერალიზაცია მოახდინა 80 ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მოსკოვმა აღადგინა სასაზღვრო კონტროლი რუსეთს და ბელარუსს შორის და მინსკის აეროპორტში. მიუხედავად იმისა, რომ რუსული მხარის თქმით ეს სიახლე არ შეხებიათ რუსეთის და

ბელარუსის მოქალაქეებს, ფაქტი მაინც უსიამოვნოა, რადგან სასაზღვრო რეჟიმი ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ 1995 წლიდან არ არსებობს, როდესაც მათ სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა დაიწყეს. (Zelensky, Polivanov, 2017) იანვრის ბოლოს რუსეთმა შეზღუდა იმპორტი ბელარუსული ხორცის საწარმოებიდან იმ ბრალდებით, რომ ეს საწარმოები აკრძალულ უკრაინულ ხორცს ბელარუსულად ასაღებდნენ და რუსეთში ყიდდნენ. (იქვე) ხოლო მარტში „როსხოქნადზორმა“ აკრძალა 5 სახეობის ყველის იმპორტი ბელარუსიდან. (Buravich, 2017)

საბოლოოდ, ქვეყნების პირველი პირები ერთმანეთს 3 აპრილს, სანკტ-პეტერბურგში შეხვდნენ, სადაც შეთანხმდნენ, რომ ნავთობის მიწოდება ჩვეულ დონემდე აღდგება და 2018 წლიდან ბელარუსი რუსულ გაზზე ფასდაკლებით ისარგებლებს. (Bohdan, 2017) თუ რა ფასზე შეთანხმდნენ მხარეები გარკვეული არ არის. მიწოდებული 24 ტონიდან 6 ტონა დაბრუნდება რუსეთში, მას შემდეგ რაც გადამუშავდება ბელარუსის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში. ამ 6 ტონას ექსპორტზე რუსული კომპანიები გაიტანენ, მაგრამ ექსპორტის საბაჟო შემოსავალი ბელარუსის ბიუჯეტში ჩაირიცხება. (Подобедова et al. 2017)

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ როგორც შეხვედრის შემდეგ ვიცე-პრემიერმა ანდრეი დვორკოვიჩმა განაცხადა, ბელარუსმა გაზპრომს 726 მილიონი დოლარის ოდენობით ვალი უნდა გადაუხადოს. (Кондрашова, Подобедова, 2017) თუმცა მხარეები ამ ვალის რეფინანსირებაზეც შეთანხმდნენ. (Lukashenko, 2017)

ბელარუსს მოეხსნა ვალდებულება მიაწოდოს რუსეთს წელიწადში 1 მილიონი ტონა ბენზინი, რაც მინსკის წარმომადგენლების თქმით მათ 150 მილიონი დოლარის დაზოგვას შეაძლებინებს, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ამ გზით მიღებული ბენზინი ისედაც არ იყო მომგებიანი რუსული კომპანიებისთვის და ამ ვალდებულებით, რეალურად ვერცერთი მხარე ვერ იღებდა სარგებელს, შესაბამისად, მათი აზრით, ეს რუსეთის მხრიდან დათმობად ვერ ჩაითვლება. (Марцинкевич, 2017)

იქიდან გამომდინარე, რომ ამ მოლაპარაკებებიდან არც ისე დიდი ხანია გასული, რთული სათქმელია თუ დეტალურად რა იქნება შეთანხმების შედეგები, მაგალითად რამდენი დაუკლეს ბელარუსს გაზის ფასზე. თუმცა ის, რომ ბელარუსმა აღიარა ასეთი

ოდენობის ვალი, რაც ცალმხრივად ფასის შემცირების და მათი პოზიციით უსამართლოდ მაღალი ფასის არსებობის გამო დაგროვდა, სავარაუდოა, რომ ამ მოლაპარაკებებში ბელარუსის მიზნები გაცილებით ნაკლებად დაკმაყოფილდა ვიდრე რუსეთის. მით უმეტეს, რომ ნავთობის მიწოდების რაოდენობის აღდგენას დათმობად რეალურად ვერ ჩავთვლით, რადგან ამავე დავის პერიოდში გაჩნდა ბელარუსის მოთხოვნების საპასუხოდ და ამ დავის გარეშე სავარაუდოდ ეს ცვლილება არ მოხდებოდა. გარდა ამისა, შეხვედრის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლუკაშენკომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ შეხვედრა მათ „გაზის და ნავთობის საკითხით არ დაუწყიათ“ არამედ დღის წესრიგში უსაფრთხოების საკითხები ქონდათ და „უსაფრთხოების საკითხებზე გააკეთეს აქცენტი“ მათ შორის ისაუბრეს „არა მხოლოდ პეტერბურგის ტრაგედიასთან დაკავშირებით“ (იმავე დღეს პეტერბურგში ტერაქტი მოხდა) (იქვე) უსაფრთხოების საკითხებზე ხაზგასმა, მით უმეტეს მათზე კონცენტრირება, საფუძვლიანად აფიქრებინებს ზოგიერთ მკვლევარს, რომ რუსეთმა სწორედ ამ სფეროში მიიღო დამატებით დათმობები ბელარუსისგან გაზის ფასის სანაცვლოდ, (Bohdan, 2017) რაც ორი ქვეყნის ურთიერთობის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ რუსეთმა თანდათანობით შეამცირა ის ფინანსური მხარდაჭერა, რასაც ბელარუსს 2006 წლის ბოლომდე უხვად სთავაზობდა. განსაკუთრებით მოვლენებით დატვირთული იყო 2007-2011 წლები, როდესაც რუსეთი აქტიურად შეეცადა ბელტრანსგაზის შექმნას, რის შემთხვევაშიც თანხმდებოდა გარკვეულ შეღავათებზე ბელარუსს, ხოლო სხვა შემთხვევაში ამცირებდა ბელარუსისთვის გაწეულ შეღავათებს.

ამავე პერიოდში მინსკმა დაიწყო ენერჯის ალტერნატიული გზების ძიება რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ბელარუსმა 2010-2012 წლებში განახორციელა ნავთობის იმპორტი ვენესუელაიდან და აზერბაიჯანიდან, თუმცა, რა თქმა უნდა ეს ნავთობი რუსულ ნავთობზე გაცილებით ძვირი დაჯდა. (BelarusinFocus, 2016)

რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები საფრთხის ბალანსის თეორიის კრილში
ნაშრომში რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები განხილულია სტივენ უოლტის საფრთხის ბალანსის თეორიის მიხედვით. ამ თეორიის არსი ის გახლავთ, რომ ქვეყნები მოკავშირის არჩევისას გადაწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ არა იმას, თუ რამდენად ძლიერია მათთან შედარებით ესა თუ ის ქვეყანა, არამედ იმას თუ რამდენად წარმოადგენს ის მათთვის საფრთხეს. შესაბამისად, საერთაშორისო სისტემაში მოქმედებს საფრთხის ბალანსი, ანუ ქვეყნები აბალანსებენ ან მიეტმასნებიან ერთმანეთს არა უბრალოდ ძალის, არამედ საფრთხის მიხედვით.

რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ საფრთხის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია და ორი ქვეყნის ურთიერთობაზე მეტ გავლენას ახდენს, ვიდრე ძალის ფაქტორი. კერძოდ, რუსეთის და ბელარუსის შესაძლებლობებს შორის ყოველთვის დიდი განსხვავება იყო რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ ეს ბელარუსს ხელს არ უშლიდა იმაში, რომ საგარეო პოლიტიკაში აქცენტი რუსეთთან ახლო ურთიერთობაზე და მისგან მხარდაჭერის მიღებაზე გაეკეთებინა.

სამაგიეროდ, საფრთხის ფაქტორი მნიშვნელოვნად შეიცვალა მოცემულ პერიოდში, რამაც თავის მხრივ შეცვალა ბელარუსის საგარეო პოლიტიკა და მისი მიზნები. 2000-იანი წლების პირველ ნახევარში მინსკის პოლიტიკური ელიტა რუსეთს არათუ საფრთხედ არ აღიქვამდა, არამედ მასზე სრულ ენერგოდამოკიდებულებასაც არ მიიჩნევდა პრობლემურად. (Balmaceda, 2014) ბელარუსმა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ენერგოდამოკიდებულების შემცირებაზე ზრუნვა რაც რუსეთისგან გამოჩნდა განზრახვა, რომ ბელარუსისთვის გაწეული დახმარება ჯერ დამოკიდებული გამხდარიყო ბელტრანსგაზის გაზპრომისთვის მიყიდვაზე, ხოლო შემდეგ შემცირებულიყო. რაც შეეხება სამხედრო და უსაფრთხოების სფეროს, აქ ბელარუსის მხრიდან მეტი დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილზე უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის მოქმედებებმა უკრაინის კონფლიქტში, რითაც რუსეთმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მზადაა სამეზობლოში სამხედრო ძალის გამოყენებით მიაღწიოს პოლიტიკურ მიზნებს. ცხადია, ამ ფონზე ბელარუსის მხრიდან გაიზარდა რუსეთის, როგორც საფრთხის აღქმა, რაც ჩანს ბელარუსის ოფიციალურ დოკუმენტებში.

ბელარუსისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს რუსეთისგან მატერიალური დახმარების მიღებას, რაც იყო კიდევ ამ ქვეყნის ძირითადი მოტივი რუსეთთან ახლო ურთიერთობის ჩამოყალიბების და მაგალითად სამხედრო სფეროში ინტეგრაციის ხელშეწყობის (რაც რუსეთის ინტერესებში შედიოდა). ამის მიუხედავად ბელარუსი ხშირად ეურჩებოდა თავის ძლიერ მოკავშირეს და ხშირი იყო უთანხმოებები იმ საკითხებში, რაშიც ორი ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ძირითადად ეს ხდებოდა ენერგორესურსებით ვაჭრობის სფეროში, სადაც ერთმანეთს იმპორტიორი და ექსპორტიორი მხარეების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ასევე მინსკი მოსკოვის პოზიციას არ ეთანხმებოდა სხვა მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ საკითხებშიც, როგორც მაგალითად აგვისტოს ომის შემდგომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების საკითხში. ურთიერთობის ეს ასპექტიც ემთხვევა უოლტის დაკვირვებებს და მისი თეორიის შესაბამის ნაწილს, სადაც ის ამბობს, რომ დახმარების მიუხედავად დიდი სახელმწიფოები ვერ ახერხებენ შეიძინონ ლოიალური მხარდამჭერები და სუსტი ქვეყნები ასეთ ურთიერთობებს უბრალოდ საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად იყენებენ, მაშინ როცა თავის ძლიერ მოკავშირეებს მაინც ეურჩებიან იმ საკითხებში, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. (Walt. 1985)

დასკვნა

2000 წლიდან მოყოლებული რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ ნაშრომში ცვლილებების ასახვის და მათი მიზეზების დადგენის მიზნით შესწავლილ იქნა ორი ქვეყნის ურთიერთობა გაზით და ნავთობით ვაჭრობის და სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში. ურთიერთობის ამ ასპექტების დინამიკისა და ოფიციალური დოკუმენტების განხილვის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ბელარუსის პოლიტიკის ცვლილება გამოწვეულია რუსეთის მიერ მინსკის მიმართ დახმარების შემცირებით და ბელარუსის მხრიდან რუსეთის საფრთხედ აღქმით. ბელარუსის მიერ რუსეთის საფრთხედ აღქმა ჩანს ბელარუსის ოფიციალური დოკუმენტების განხილვისას. ნაშრომის ეს ნაწილი ასევე საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს ფაქტორი ძირითადად განაპირობა რუსეთის როლმა უკრაინის კონფლიქტში.

რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, აქ ძირითადად საუბარია ბელარუსის ეკონომიკის სუბსიდირებაზე ენერგორესურსებით ვაჭრობის სფეროში. ამ სფეროში პრეფერენციების შემცირება და საბაზრო მოდელზე გადასვლა პუტინის ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე რუსეთის გამოცხადებული პოლიტიკა გახდა. თუ როგორ განხორციელდა ეს პოლიტიკა და რა გავლენა იქონია ამან რუსეთ-ბელარუსის ურთიერთობაზე ნაჩვენებია ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც გაზით და ნავთობით ვაჭრობის სფეროს ეხება. ეს თავი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბელარუსს დამოკიდებულების შემცირების სურვილი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც რუსეთმა შეამცირა მინსკის რეჟიმის დახმარება. მოცემული ქეისის მისადაგება საფრთხის ბალანსის თეორიასთან აჩვენებს ჰიპოთეზის მართებულობას.

ბიბლიოგრაფია

- Alachnovič, A. (2015, August 26). *How Russia's Subsidies Save The Belarusian Economy*. Retrieved July 3, 2017, from Belarus Digest: <http://belarusdigest.com/story/how-russias-subsidies-save-belarusian-economy-23118>
- Ambrosio, T. (2006). The Political Success of Russia-Belarus Relations: Insulating Minsk from a Color Revolution. *Demokratizatsiya, Vol. 14 No. 3*, 407-434.
- Astapenia, R., & Balkunets, D. (2016). *Belarus-Russia Relations after the Ukraine Conflict*. Minsk: Ostrogorski Centre.
- Balmaceda, M. (2014). *Living the High Life in Minsk: Russian Energy Rents, Domestic Populism and Belarus' Impending Crisis*. Budapest: Central European University Press.
- Beach, D. (2017). *Process-Tracing Methods in Social Science*. Retrieved July 3, 2017, from Oxford Research Encyclopedia of Politics: <http://politics.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780190228637.001.0001/acrefore-9780190228637-e-176>
- Belarus in Focus (2016, April 22). *Belarus may refuse Venezuelan oil supplies*. Retrieved July 3, 2017, from Belarus in Focus: <https://belarusinfocus.info/economy-2/belarus-may-refuse-venezuelan-oil-supplies>
- Bohdan, S. (2015, November 26). *Belarus-Russia Military Cooperation: Can The Kremlin Dictate The Terms?* Retrieved July 3, 2017, from Belarus Digest: <http://belarusdigest.com/story/belarus-russia-military-cooperation-can-kremlin-dictate-terms-23814>
- Bohdan, S. (2017, April 11). *Belarus Has Obtained Gas And Oil Concessions From Russia: But What Did Russia Get In Exchange?* Retrieved July 3, 2017, from Belarus Digest: <http://belarusdigest.com/story/belarus-has-obtained-gas-and-oil-concessions-russia-what-did-russia-get-exchange-29754>
- Bohdan, S. (2017, May 18). *Belarus Seeking Security Cooperation With Both Russia And The West: Mission Possible?* Retrieved July 3, 2017, from Belarus Digest: <http://belarusdigest.com/story/belarus-seeking-security-cooperation-both-russia-and-west-mission-possible-29875>
- Bruce, C. (2005). *Fraternal Friction or Fraternal Fiction? The Gas Factor in Russian-Belarusian Relations*. Oxford Institute for Energy Studies.
- Buravich, E. (2017, March 24). *The Rosselkhoznadzor has banned the import of Belarus five brands of cheese*. Retrieved July 3, 2017, from Newsworld: <https://newsworld.co/the-rosselkhoznadzor-has-banned-the-import-of-belarus-five-brands-of-cheese/>

- Caldioli, G. (2011). *Belarus-Russia Energy Disputes – political and economic comparative analysis*. Bologna: PECOB's Energy Policy Studies.
- Collier, D. (2011). Understanding Process Tracing. *PS: Political Science and Politics*, Vol. 44 No 4, 823-830.
- Deyermund, R. (2004). The State of the Union: Military Success, Economic and Political Failure in the Russia-Belarus Union. *Europe-Asia Studies*, Vol. 56, No. 8, 1191-1205.
- Estonian analysts: Russia's new military doctrine predicts its own behavior*. (2014, December 29). Retrieved July 3, 2017, from err.ee: <http://news.err.ee/114672/estonian-analysts-russia-s-new-military-doctrine-predicts-its-own-behavior>
- Konończuk, W. (2007). *Belarusian-Russian Energy Conflict: The Game is not Over*. Warsaw: Batory Foundation.
- Krippendorff, K. (2004). *Content analysis: An introduction to its methodology*. Thousand Oaks: Sage Publications.
- Lukashenko, A. (2017, April 3). *Press statements following meeting with President of Belarus Alexander Lukashenko*. Retrieved July 3, 2017, from Kremlin.ru: <http://en.kremlin.ru/events/president/news/54178>
- Mankoff, J. (2009). *Russian Foreign Policy: The Return of Great Power Politics*. Lanham: Rowman & Littlefield Publishers.
- Marples, D. (2014). Belarus and the Russian-Ukrainian Conflict. *Belarusian Review*, Vol. 26, No. 1., 8-9.
- Martinsen, K. D. (2002). The Russian Takeover of Belarus. *Comparative Strategy*, Issue 5, 401-416.
- Polikanov, D. (2017, February 10). *How Serious is the Row Between Russia and Belarus?* Retrieved July 3, 2017, from Russia Beyond the Headlines: https://www.rbth.com/opinion/2017/02/10/how-serious-is-the-row-between-russia-and-belarus_699671
- Rasmus, N. (2010). *Revanchist Russia? Russian Perceptions of Belarussian and Ukrainian Sovereignty, 1990-2008*. University College London: London.
- Regnum. (2015, October 6). *Лукашенко: никакой авиабазы РФ в Белоруссии не будет*. Retrieved July 3, 2017, from Regnum: <https://regnum.ru/news/polit/1985933.html>
- Savchenko, A. (2009). *Belarus—A Perpetual Borderland*. Leiden: Brill.
- Shraibman, A. (2017, February 8). *The Far-Reaching Consequences of Belarus's Conflict with Russia*. Retrieved July 3, 2017, from Carnegie Moscow Center: <http://carnegie.ru/commentary/?fa=67939>
- spravka-jurist. (1998, June 10). *Постановление Исполнительного Комитета Союза Беларуси и России от 10 июня 1998 г. № 2*. Retrieved July 3, 2017, from spravka-jurist: http://spravka-jurist.com/base/part-aq/tx_xswdxy.htm

- Walt, S. M. (1985). Alliance Formation and the Balance of Power. *International Security*, Vol. 9, No. 4, 3-43.
- Walt, S. M. (1990). *The Origins of Alliances*. Ithaca : Cornell University Press.
- Wilson, A. (2016). Belarus: from a Social Contract to a Security Contract? *The Journal of Belarusian Studies*, Vol. 8, 78-91.
- Yafimava, K. (2010). *The June 2010 Russian-Belarusian Gas Transit Dispute: a surprise that was to be expected*. Oxford Institute for Energy Studies.
- Yakovlev Golani, H. (2011). Two Decades of the Russian Federation's Foreign Policy in the Commonwealth of the Independent States: The Cases of Belarus and Ukraine. *The European Forum at the Hebrew University of Jerusalem*. Jerusalem.
- zautra.by. (2010, January 27). *Who and How Won Russia-Belarus Hydrocarbon Wars*. Retrieved July 3, 2017, from UDF.by: <http://udf.by/english/economy/6868-who-and-how-won-russia-belarus-hydrocarbon-wars.html>
- Zelensky, M., & Polivanov, A. (2017, February 3). *Russia is in a quarrel with Belarus*. Retrieved July 3, 2017, from Meduza: <https://meduza.io/en/feature/2017/02/03/russia-is-in-a-quarrel-with-belarus>
- Алдохин, Д. (2017, April 28). *Учения с российскими военными "Запад-2017": вопросы и ответы*. Retrieved July 3, 2017, from TUT.BY: <https://42.tut.by/541316>
- Букчин, А. (2010, July 2). *Газпром и Белтрансгаз подписали допсоглашение к контракту на транзит*. Retrieved July 3, 2017, from РИА Новости: <https://ria.ru/economy/20100702/251743644.html>
- Военная доктрина Республики Беларусь. 2016. Retrieved July 3, 2017, from mil.by: http://www.mil.by/ru/military_policy/doktrina/
- Военная доктрина Российской Федерации. 2010. Retrieved July 3, 2017, from Kremlin.ru: <http://kremlin.ru/supplement/461>
- Военная доктрина Российской Федерации. 2014. Retrieved July 3, 2017, from Российская газета: <https://rg.ru/2014/12/30/doktrina-dok.html>
- Гусев, А. (2010). Союзный щит: геополитический аспект. *Беларуская думка*, № 1, 26-29.
- Единая система ПВО России и Белоруссии начнет работать к концу 2016 года*. (2015, September 8). Retrieved July 3, 2017, from Информационное агентство России «ТАСС»: <http://tass.ru/armiya-i-opk/2245486>
- Закон Республики Беларусь от 03.01.2002 №74-З "Об утверждении Военной доктрины Республики Беларусь". 2002. Retrieved July 3, 2017, from pravo.newsby: <http://pravo.newsby.org/belarus/zakon1/z232.htm>

- Зачем Беларуси третья российская военная база?* (2013, June 17). Retrieved July 3, 2017, from Народная Воля: <http://www.nv-online.info/by/389/printed/64475/%D0%97%D0%B0%D1%87%D0%B5%D0%BC-%D0%91%D0%B5%D0%BB%D0%B0%D1%80%D1%83%D1%81%D0%B8-%D1%82%D1%80%D0%B5%D1%82%D1%8C%D1%8F-%D1%80%D0%BE%D1%81%D1%81%D0%B8%D0%B9%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F-%D0%B2%D0%BE%D0%B5%D0%BD%D0%BD>
- Кондрашова, Н., & Подобедова, Л. (2017, April 3). *Путин и Лукашенко договорились о цене на газ*. Retrieved July 3, 2017, from РБК.РУ: <http://www.rbc.ru/economics/03/04/2017/58e28ab99a79473c4b6a78b1>
- Коновалов, Н. (2014). СОТРУДНИЧЕСТВО РОССИИ И БЕЛОРУССИИ В СФЕРЕ ОБОРОННОЙ ПОЛИТИКИ. *Вестник ТГУ, выпуск 11 (139)*, 100-104.
- Лукашенко, А. (2010, May 27). *А.Лукашенко: Белоруссия готова обменять контрольный пакет акций "Белтрансгаза" на дешевый российский газ*. Retrieved July 3, 2017, from РБК.РУ: <http://www.rbc.ru/rbcfreenews/20100527183924.shtml>
- Марцинкевич, А. (2017, April 5). *На какие уступки пошла Россия в ценах на газ для Беларуси?* Retrieved July 3, 2017, from Thinktanks.by: <https://thinktanks.by/publication/2017/04/05/na-kakie-ustupki-poshla-rossiya-v-tsenah-na-gaz-dlya-belarusi.html>
- Подобедова, Л., Ткачѳв, И., Химшиашвили, П., & Наталья, Н. (2017, April 4). *О чем договорились и не договорились Россия и Белоруссия*. Retrieved July 3, 2017, from РБК.РУ: <http://www.rbc.ru/economics/04/04/2017/58e3a3189a7947550c6f4f71>
- РИА Новости. (2010, June 19). *Белоруссия не предоставляла документы по задолженности за транзит газа*. Retrieved July 3, 2017, from РИА Новости: <https://ria.ru/economy/20100619/248046814.html>
- РИА Новости. (2011, November 25). *Россия дала Белоруссии газ, а она ей "Белтрансгаз"*. Retrieved July 3, 2017, from РИА Новости: <https://ria.ru/politics/20111125/498024813.html>
- РИА Новости. (2017, April 3). <https://ria.ru/spravka/20170403/1491221294.html>. Retrieved July 3, 2017, from РИА Новости: <https://ria.ru/spravka/20170403/1491221294.html>
- СОГЛАШЕНИЕ МЕЖДУ ПРАВИТЕЛЬСТВОМ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ И ПРАВИТЕЛЬСТВОМ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ О СОЗДАНИИ РАВНЫХ УСЛОВИЙ В ОБЛАСТИ ЦЕНОВОЙ ПОЛИТИКИ*. (2002, April 12). Retrieved July 3, 2017, from Spinform: http://base.spinform.ru/show_doc.fwx?rgn=7286
- Стратегия национальной безопасности Российской Федерации. 2015. Retrieved July 3, 2017 from Российская газета: <https://rg.ru/2015/12/31/nac-bezopasnost-site-dok.html>

СТРАТЕГИЯ национальной безопасности Российской Федерации до 2020 года. 2009. Retrieved July 3, 2017, from Российская газета: <https://rg.ru/2009/05/19/strategia-dok.html>

ТАСС. (2015, September 8). *Единая система ПВО России и Белоруссии начнет работать к концу 2016 года*. Retrieved July 3, 2017, from ТАСС: <http://tass.ru/armiya-i-opk/2245486>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Master Program: Diplomacy and International Politics

Luka Jorbenadze

Russia-Belarus relations in XXI century

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree
of Master of Diplomacy and International Politics

Supervisor: Zurab Davitashvili,
Doctor of political science, professor

Tbilisi

2017

50